

၁၂၁၃၁၉၂၂၁၂၂၁၂



ໂຄງການ ໂຄງການລັດຢູ່
ຮອບ - ຂົບສົມມະນຸ

19 . ຕິດຕູລາ . 58

დიდი-ჭიხავიშვილის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზემი

19140 დ ე ვ ი ძ ი

ნიკო ნიკოლაძი
დიდი-ჭიხავიშვილი

+ 21.429
F 3


თბილისი
1958

საქართველოს განათლებისა და კულტურის მინისტრის მიერ მიღებული დოკუმენტების შესახებ

აპტორისაგან

ამ ნარკვევის მიზანია მყითხელს ზოგადი წარმოდგენა
გისცეს ნ. ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ
სოფელ დიდ-ჭიხაში. მას არა აქვს პრეტენზია ჯეტალუ-
რად და დაწვრილებით ასახოს დიდი მესამრებაზელის ცხოვ-
რებისა და მოღვაწეობის, ეს მონაკვეთი. ამის შესახებ არ-
სებული მდიდარი მასალა, ჩომელიც¹ ნიკოლაძის არქივ-
შია დაცული, თავის სპეციალურ მკვლევარს ელის.

1313.070



ნ. ნიკოლაძის ძეგლი სახლ-მუზეუმის პარკში

ამიერკავკასიის რეინიგზაზე, თბილის-ფოთის ხაზზე, საკუნძო სადგურ სამტრედიამდე, — არის ერთი პატარა სადგური, რომელსაც იანეთი ეწიოდება. იანეთიდან $6\frac{1}{2}$ კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი დიდი-ჭიხაიში.

სწორი, ასფალტირებული გზა ამწვანებული ეზოების ნაპირად მიიმართება და სოფლის შუა გულში შედის. მარჯვენა მხარეს, მგზავრის თვალი ადვილად შეამჩნევს ტრიოფლიატით (ცოცხალი ღობით) ლამაზად შემორაგვულ ეზოს, რომელიც 25 ჰექტარზე გადაჭიმულა. საკმაოდ შორს, ეზოს გულში მაღალი ორსართულიანი სახლი დგას, რომელსაც დარაჯობს ფიჭვებისა და ძელქვების მაღალტანიანი ხეები. სახლიდან იწყება ვიწრო გზატეკილი. იგი ნაძვების ხეივანში მიიღლავნება და რეინის ჭიშკართან მთავრდება. რეინის ჭიშკარი დაკიდებულია ორ ქვის ბოძზე, ერთ მათგანზე ამოჭრილია მონოგრამა — „ონ“. ეს ნიკოლაძისა და მისი შეულლის ოლღა გურამიშვილის სახელების ინიციალებია, ეს კარმიდამო კი ნიკო ნიკოლაძისეული მამულია. ამ მამულს და სოფელ დიდ-ჭიხაიშს შევეცნებით ი ბნიშვნელობა აქვს ნ. ნიკოლაძის ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან, ამიტომ გვინდა მკითხველს ზოგიერთი რამ ვუამბოთ ამის შესახებ.

რამ გადაწყვეტინა ნიკოს ასეთი მამულის გაშენება დიდ ჭიხაიშში, იგი ხომ აქ არ დაბალებულა, მისი სამშობლო ხომ ქუთაისი იყო?

ნიკო დიდ-ჭიხაიშს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა.

მისი დედა — ელისაბედ ლორთქიფანიძე, დიდი-ჭიხაიშელი ქალი იყო. პატარა ნიკო ბავშვობაშივე იქ იზრდებოდა.

დედულეთისა და ამ სოფლის სიყვარული პატარაობიდანეე ჩიენერგა ნიკოს. ამ უანგარო სიყვარულმა გადაწყვეტინა მას მამულის გაშენება დიდ-ჭიხაიშში, არც შემცდარა ნიკო: ქვე-

მო იმერეთის ეს ლირსშესანიშნავი სოფელი, თავისი კულტურული ხალხით, ხელსაყრელი კლიმატითა და შესანიშნავი ბუნებრივი პირობებით საშუალებას იძლეოდა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის განვითარებისათვის.

1886 წელს ნიკომ ადგილობრივ მცხოვრებ მიხეილ და ქაიხოსრო ლორთქიფანიძეებისაგან შეიძინა 20 ჰექტარამდე მიწა და დაიწყო იქ მამულის გაშენება. მისი ძირითადი მზანი იყო ისეთი საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის მოწყობა, რომელიც ხალხს დახმარებას გაუწევდა სოფლის მეურნეობის კულტურულად მოწყობაში და მის განვითარებაში.

ნიკომ, ბაბუამისისეულ — ფირან ლორთქიფანიძისეულ ეზოში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ის სახლი იდგა, რომელშიც ნიკოს დედა დაიბადა, — ააგო ერთსართულიანი ოდა სახლი. ეს სახლი ნიკომ ხონში შეიძინა, ჭიხაიშვილი ფიცარ-ფიცარ გაღმოიტანა და ყავრით დახურა. 1898 წელს სახლი თვით ნიკოს გეგმის მიხედვით გადაკეთდა ორსართულიან სახლად და გადაიხურა „მარსელის“ კრამიტით. სახლს დაემატა სამი ზედა ოთახი და ორი აივანი, ხოლო 1908 — 10 წ. წ. არქიტექტორ ფრიკის პროექტის მიხედვით ამავე სახლს ნიკომ ქვედა სართულში ერთი ოთახი დაუმატა დიდი „ვენეციური ფანჯრით“. სახლის ქვედა ნაწილში თავიდანვე გააკეთა სარდაფი საცდელი ღვინოების შესანახვად და მარანი მოაწყო.

მაურნეობის მოწყობა, მამულის გაუმჯობესება

მიწის იმ ნაკვეთზე, რომელიც ნიკომ შეიძისყიდა, გარდა რამდენიმე კაკლის ხისა არაფერი იდგა, იგი უმთავრესად ჯაგნარითა და ეკალ-მაყველით იყო გაბურდული. თანდათანობით მან ნაკვეთი გაასუფთავა, ეკალ-მაყვალი გაკაფა, ირგვლივ თხრილი შემოავლო, შემოლობა და ტრიფოლიატი შემოარგო.

დაიწყო მამულის დაგეგმვა. ამ გეგმის მიხედვით ნიკოს მხედველობიდან არ გამორჩენია სოფლის მეურნეობის არც ერთი დარგი. მემინდვრეობა, მებალეობა, მევენახეობა, მეფრინველეობა და მეცხოველეობა მამულის ძირითად გეგმაში შევიდა.

მინდვრის კულტურებისათვის მან გამოჰყო 3 ჰექტარი მიწა, რაზედაც ითესებოდა სიმინდი, ხორბალი, ფეტვისა და ლომი. ვენახი გაშენებულ იქნა 1,5 ჰექტარზე, რომლის ნაკვეთიც 4 ნაწილად იყო გაყოფილი. სამ ნაკვეთზე მოშენებულ იქნა ადგილობრივი ჯიშის ვაზი: სამჭაპა, შავბარდა და მწვანე, მეოთხე ნაკვეთზე კი საქართველოში განთქმული ჯიშები: ცოლიყოური, რქაწითელი, კრახუნა, ალექსანდროული, საფერე, კახური, ოცხანური, ციცქა, ჩხავერი, ოჯალეში, რკოშაური და ალადასტური. აგრეთვე საზღვარგარეთული ჯიშები: კაბერნე, ალბილო, ჩაუში. თითოეული ჯიშის ვაზი წარმოდგენილი იყო ხუთ-ხუთ ეგზემპლარით, როთაც ერთგვარი კოლექცია იქმნებოდა. ამით მსურველს საშუალება ეძლეოდა გაეგო, თუ რომელი ჯიშის ვაზი იძლეოდა საუკეთესო ხარისხის ნაყოფს ადგილობრივ პირობებში, შემდეგ კი ამ მეურნეობიდან მიეღო მისთვის სასურველი ვაზის ჯიშის ნერგი გასაშენებლად და გასამრავლებლად პირად მეურნეობაში.

ხეხილის ბალი შეიცავდა 2,5 ჰექტარს. ამ ბალში ნიკომ მოაშენა საქართველოში არსებული საუკეთესო ჯიშები ვაშლის, მსხლის, ლელვის, ალუბლის, ატმის, კომშის, ქლიავის, ჭერმის, ბლისა და უნაბისა. აგრეთვე მოაშენა ჟოლო (მალინა), კრიუოვნიკი, სმაროდინა, სატაცური, კოლობაია (ჯინგულა), არტიშოკი, სხმარტლი, იაპონიის ხატომა, ფშატი (რომელიც სინესტის გამო ადრე არ ხარობდა) და სხვა მრავალი.

სათიბი კულტურებისათვის გამოყოფილი იყო ნაკვეთი 1,5 ჰექტარზე, რაზედაც უმთავრესად იონჯასა და სამყურა ბალახს თესავდნენ, ხოლო პირუტყვთა საძოვრად გამოყოფილ იქნა 1,5 ჰექტარი, ცალკე ნაკვეთები იქნა აგრეთვე გამოყოფილი ბოსტნეული და ბალჩეული კულტურებისათვის (1,5 ჰექტარი), ტყისათვის (10.5 ჰექტარი), მეფრინველეობის და მეცხოველეობისათვის.

ბუნებრივია, რომ ამოდენა მამულის გაშენება და მეურნეობის მოწყობა შეუძლებელია მომხდარიყო ერთი ხელის დაკვრით. იგი მოითხოვდა ხანგრძლივ შრომას, დიდ ენერგიას და აუარებელ ხარჯებს. დიდი ენერგია ეხარჯებოდა ნიკოს



ბ. ნიკოლაძე და მისი შვილი თაძე გურამიშვილი (ცეკვენის პატიო მდგრადის შექვეყნება)



მამულის მოწყობაზე, ბევრსაც წვალობდა. ნიკოსეულ მამული ში ამჟამად საქმაოდ ცნობილი ხეები დარგულია ნიკოს საკუთარი ხელით. მთელ თავის სიცოცხლეში იგი თავგამოდებით დასტრიიალებდა ამ მამულს. თანდათანობით ზრდიდა, აფართოებდა და ახალი მცენარეებით ავსებდა მას. თითოეულ მცენარეს სათუთად უვლიდა და უგუებდა ადგილობრივ პირობებს.

მცენარეების ნერგებს ნიკო საქართველოს ყველა კუთხიდან ღებულობდა. მაგალითად 1889 წელს დიდი-ჭიხაიშის მამულისათვის ნიკოლაძემ გამოიწერა და რაჭიდან მიიღო ურთხლისა და ფიქტის ნერგები. ტყიბულიდან მიიღო ნაძვის, შემერის, მოცვისა და ბზის ნერგები, მაგრამ ვერ იშვა: ღვიის ნერგი, რაც მას ძალიან გულით უნდოდა ჰქონიდა. 1891 წელს ქურდამირიდან გამოუგზავნეს ჭიხაიშის მამულისათვის საუკეთესო ჭიშის ბროჭულის ძირები. დაახლოებით ამავე დროს იონა მეუნარგიამ ნიკოს ჭიხაიშის მამულისათვის უშოვა დაფნის ნერგები. (იხ. ნ. ნიკოლაძის არქივი დაცული თბილისის კ. მარქსის სახელობის ბიბლიოთეკაში, საბუთები არქივიდან № 53/109; 14/304; 13/216). ანალოგიურად ღებულობდა ნიკო მცენარეებისა და ცხოველების სხვადასხვა ჭიშებს საზღვარგარეთიდან (საფრანგეთიდან, იტალიიდან, იაპონიიდან, შვეიცარიიდან და სხვ.) ცხრა წლის (1886—1894 წ.) ინტენსიური მუშაობის მანძილზე შენდებოდა ეს მამული. მამულის გაშენებაში დაუფასებელია ნ. ნიკოლაძის მოურავის — სიმონ ვაშაკიძის ღვაწლი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ერთგულად და უმშიყვლოდ ემსახურა ნიკოს. ასევე დაუფასებელია სიმონ ვაშაკიძის ძმის გიგო ვაშაკიძის ღვაწლიც, რომელიც მებალედ მუშაობდა ნიკოსთან.

ასე გაშენდა ეს მამული, რომელიც უკვე ცხრასიანი წლების დასაწყისში ღირსშესანიშნავი იყო თავისი მრავალი სახეობით. რა არ იყო აქ: კუნძულ მალტის თხა, რუანის იხვი. ინდოეთის ღორი, ესპანეთის ვირი, პოლანდიის ძროხა, ევროპისა და აზიის სხვადასხვა ჭიშის ძალები, სენერანები და სხვა. ხოლო მამულში თავისუფლად ყვაოდა ცაცხვი, ჭადარი, ძელქვა, თელა, კოპიტი, მუხა, წიფელი, ნეკერჩალი, რცხილა,

წაბლი, კედარი, ფიქვი, ურთხელა, ტურა, მაგნოლია, კრაპვებულის, ტომერია, ბზა, დაფნა, „ლეგსტრერმია ინდიკა“, არო უკარია; პალმა, ბანანი, პრობკის მუხა, ამერიკული ნიგოზი და სხვა.

ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ ნიკო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სწორი ყოფილა მისი წინასწარი თეორიული მოსაზრება: სამტრედიის რაიონის (კერძოდ კი დიდი ჯიხაიშის) ჰავა; ნიადაგი და „ზღვის სიოს“ გაელენა ძლიერ ენათესავებოდა იაპონიის ბუნებრივ პირობებს¹). ამიტომ ნიკომ შეცვალა თავისი გეზი. მან პირველ რიგში დაიწყო იაპონური ჯიშების გაშენება: მოაშენა ჩაის ბუჩქი, ქალალდის ხე, იაპონიის ხურმა („ბაშმალა“), იაპონიის ზღმარტლი („მუშმალა“), „ტიულპანის ხე“, გლიცინიები და სხვა.

ღროთა განმავლობაში ნიკოს მიერ გაშენებული ეს მაშული გადაიქცა წაბაძვის წყაროდ და საქმაო მნიშვნელობის მქონე საცდელ სადგურად, რომლის მსგავსი არ შეუქმნია არც ერთ ქართველ საზოგადო მოღვაწეს, პუბლიცისტს თუ მწერალს.

ამიტომ იყო, რომ გაზ. „ივერია“ 1891 წლის № 250 წერდა: „ქვემო იმერეთში, სოფელ ჯიხაიშს ამისთანა ფერმა გაუშენებია ბ-ნ ნიკოლაძეს და მეორე უფრო პატარა ფერმა სოფ. ლანირს კოკინია დგებუაძეს. ორივე სწორედ სასიამოვნო სანახავია და სასარგებლო ყოველის ჩვენებურის მეურნეობისათვის. გარდა ამისა, რომ ეს ფერმები ავრცელებს სოფლებში უკეთესს ხეხილის ნამყენებს და თესლეულობას, მათ შემუშავების და მოვლის წესებს, თვით ფერმის პატრონების მაგალითს ბევრი მეზობელი თავადი და აზნაური მუშაობას მიუჩვევია. ერთი ახალგაზრდა გაკვირვებით მეუბნებოდა: კაცო რა ვნახე, გუშინას წინ ჩემი თვალით ვნახე ნიკოლაძე და მისი ცოლი დათითხნილი ბალში მუშაობდნენ, თავის

¹ დიდი-ჯიხაიშის მეზობელ სოფელში, კულაშში კი ელადიმერ მიქელაძეს თავისი მამული სამხრეთ საფრანგეთის ყაიდაზე ჰქონდა გაშენებული. ნიკო ნიკოლაძე მას კონსულტაციას უწევდა და ყოველხრივ ეხმარებოდა მეურნეობის მოწყობაში.



ხელით რგავდნენ ხეხილს. ბოსტანს მარგლიდნენ. არ გიყვირს რაგალი განათლებული კაცი და რავა კალრულობს მუშაობას. სო. საცა მივედი ამ სოფლებში თითო-ოროლა რამ ყველას გაღმოულია მოხსენებულ ფერმიდან. ხშირად სჯიან, ბაასობენ სამეურნეო საგნების შესახებ და ამის მიზეზს სულ იგივე ფერმები აძლევს ყველას. იმისთანა ყმაწყილებს დაუწყიათ თავისი ხელით მუშაობა ახლა, რომ თითო ამისთანა ფერმა გაჩნდებოდეს, მეურნეობის ბედი გამობრუნდებოდა ჩვენს ქვეყანაში". ილია ჭიჭინაძე ("გაკვრით").

ნიკოლოზ (კოკინია) ალექსისძე დგებუაძე (1863 — 1937), რომლის შესახებაც გაჩ. „ივერია“ ლაპარაკობს ამ წერილში, თავის დროისათვის ფრიად განათლებული კაცი იყო, სპეციალობით აგრონომი, ჩუმი და უპრეტენზიონ საზოგადო მოღვაწე. 1889 წელს მარსელში (საფრანგეთი) დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში და თავის მშობლიურ სოფელ ლანირში დაიწყო მეურნეობის გაშენება, რომელმაც დროთა განმავლობაში შესანიშნავი სახე მიიღო. ნ. დგებუაძის პირადი მეურნეობა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს ემსახურებოდა და ისეთივე როლს ასრულებდა, რასაც ნ. ნიკოლაძის მამული. ნ. დგებუაძემ საქართველოში პირველმა შემოიტანა ბევრი ისეთი მცენარე, რომელიც მანამდე არ იყო (იტალიური ისამანი, გულაბი საადრეო მსხალი, კაკლის ხის ორი ჭიში და მრავალი სხვა). ნ. ნიკოლაძეს და ნ. დგებუაძეს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, ერთმანეთის დახმარებით და კონსულტაციებით კიდევ უფრო ამდიდრებდნენ და უკეთ აწყობდნენ თავიანთ მეურნეობას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნ. დგებუაძე აგრონომად მუშაობდა სას. სამეურნეო ორგანიზაციებში და საბჭოთა მეურნეობებში. თავისი უანგარო მოღვაწეობით და ენერგიული მუშაობით მას მნიშვნელოვანი წვლილი შეკენდა სოციალისტური მეურნეობის განვითარებაში.

ნ. დგებუაძე ამავე დროს კარგი მომღერალიც იყო. იგი წლების მანძილზე მღეროდა ქართულ ხალხურ გუნდებში



ნიკოლოზ (კოკინია) დგებუაძე

სოლისტად. ხშირად უმღერია აგრეთვე ცნობილ მომღერალ „დანიელა ურიასთან“, მ. მარჯანიშვილთან და დ. ფალავას-თან.

6. დგებუაძის შესრულებით 36 სიმღერა ჩაწერილია გრა-
მაფონის ფირფიტაზე, რომელიც გავრცელებულია საქართვე-
ლოში, რუსეთსა და უცხოეთში.

გრძოლა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ნიკოს მიზანი იყო ისეთი საც-დელ-საჩვენებელი მეურნეობის მოწყობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლა. მიზანიც მიღწეულ იქნა. ასეთი მამული მან გააშენა. ახლა იგი შეუდგა ცდების გაკეთებას და თავის მამულში წარმოებული დაკვირვებების შედეგების პოპულარიზაციას სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით.

დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ნიკო მევენახეობას ერთ-ერთ მთავარ დარგად თვლიდა. ხანგრძლივი დაკვირვებისა და ცდების შემდეგ ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დასავლეთ საქართველოს ლვინოები ძლიერ ენათესავებოდა განთქმულ ფრანგულ ლვინოებს — ბორდოსა და შამპანურს, ხოლო ციცქასა და ცოლიკაურის ჭიშის ვენახები ქვემო იმერეთში საუკეთესო მოსავალს იძლეოდნენ¹.

მევენახეობის განვითარების საქმეში აღმოჩნდა ერთი დიდი დაბრკოლება. ეს იყო ფილოქსერა, რომელიც ხელალებით ანაღვურებდა ვენახებს. ფილოქსერას წინააღმდეგ ბრძოლა მან დააყენა სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანად, დასახაგზები, საშუალებები და წამოაყენა სხვადასხვა პრაქტიკული წინადაღებები ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლებელად. 1889 წელს, ფილოქსერის გაჩენასთან დაკავშირებით ნიკომ გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“-ს № 9892-ში მოათავსა წერილი, სა-

¹ ნიკომ ერთ დროს შემოილო ხილის ლეინის დამზადება, რაც მან საუკეთესოდ შეისწავლა საფრანგეთში ყოფნის დროს, 1900 და 1903 წელს მან ამისათვის სპეციალურად მოიწვია დეგუსტატორები, რომლებმაც ხილის ლვინო ვერ გააჩინეს ყურძნის ლვინისაგან.

დაც სხვა მრავალ საკითხებთან ერთად მთავარ მნიშვნელობას აძლევდა სასოფლო-სამეურნეო განვითარების გავრცელებას ხალხში.

არა ნაკლებ წინააღმდეგობას წააწყდა ნიკო ლვინოების შენახვის საქმეში. ცნობილია, რომ ლვინის შესახად საჭიროა გრილი ან ცივი სარდაფების მოწყობა, რაც ქვემო იმერეთის კლიმატური პირობების გამო არ ხერხდებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიკომ საკუთარ მამულში სცადა ასეთი სარდაფის გამართვა. თავისი საცხოვრებელი სახლის ქვევით ლვინის სარდაფი მოაწყო და მისი კედლები ცემენტით შელესა. მიუხედავად ამისა კედლებიდან გრუნტის წყალმა გამოჟონა და ლვინის სარდაფის მოწყობის საქმე ნიკოს ნაწილობრივ ჩაუშალა.

1912 წელს ნ. ნიკოლაძემ აღძრა საკითხი „ქუთაისის მელვინეთა აქციონერული საზოგადოების“ დაარსების შესახებ. მან წარადგინა საზოგადოების წესდება და განმარტებითი ბარათო. ამ განმარტებით ბარათში ვკითხულობთ:

„მევენახეობისათვის საუცხოვო პირობებით ბუნებას უხვად დაუჭილდოვებია ჩვენი მხარე. მზის სხივთა სიუხვე, ზღვასთან სიახლოვე და სხვა გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობებით ჩვენი ქვეყანა არ ჩამორჩება არც ერთ რუსეთის მხარეს და თვით საფრანგეთსაც უორონდოს მიდამოს გამოკლებით (ბორდო-ლაფიტიდან ვიდრე გრავის ყურამდე).“

სარდაფის გაკეთება, მისი მორთვა გაუმჯობესებული იარაღებითა და საუკეთესო ჭურჭლებით გადასასხამი და გადასაგზავნი მოწყობილობები, საცივადო განყოფილებანი, საცდელი ლაბორატორიები და სხვა. აი რაებია საჭირო ჩვენში მელვინეობის განსავითარებლად. საჭიროა ამისათვის დიდი ხარჯების გაშევა. შეუძლებელია ჩვენებური ლვინოსათვის ფართე ბაზრის მოპოვება და მისი გაყიდვა ხელსაყრელ ფასებში მანამდე, სანამ ჩვენი მელვინეობის საქმე არ დაეყრდნობა მეცნიერულ საფუძვლებზე, რომ ისეთის ნდომით მოეპყრის მას მომხმარებელი, როგორც საფრანგეთისა ანუ რეინის ცნობილი მარკების ლვინოს.

ამის გაკეთება კი წვრილი მიწათმფულობელობის მხარეში შეუძლებელია ვინიფრიკაციის კოლექტიურ ფორმის გარეშე მხოლოდ და მხოლოდ ასეთი კოლექტიური ძალითაა შესაძლო ჩვენში რეინა-ბეტონით გარშემორტყმული მინის რეზერვუარების დადგმა და მათის საშუალებით და დახელოვნებულ სპეციალისტების ხელმძღვანელობით კარგი ღვინის დაყენება, და მისი შენახვა-დაძველება შესაფერ სარდაფებში. უამისოდ შეუძლებელია ღვინის საიმედო საქონლად ქცევა, რომ მან გადაიტანოს შენახვა და შორეულ ქვეყნებს გაგზავნა“. (იხ. უურნალი „კლდე“ № 11, მარტი 1914 წ.).

1913 წელს დამტკიცდა საზოგადოების წესდება. ამ საზოგადოებას განზრახული ჰქონდა ღვინის სარდაფების მოწყობა ქ. ქუთაისსა და ზესტაფონში, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ და გართულებამ ჩაფუშა ეს წამოწყება (იხ. საბუთი № 35/10, 13. დაცული თბილისის საჭარო ბიბლიოთეკაში).

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველო შედარებით ნესტიანია, გვალვა მაინც დიდ ზიანს აყენებდა სოფლის მეურნეობას. გვალვა აზარალებდა აგრეთვე დიდი-ჯიხაიშის მოსახლეობასაც. ამიტომ საჭირო გახდა სარწყავი არხების გაყვანა.

ნიკომ გადაწყვიტა სარწყავი არხის გამოყვანა მდინარე ცხენისწყლიდან, რომლის სათავეც იქნებოდა სოფ. მათხოჭში (წულუქიძის რაიონი). არხი გაივლიდა ხონს (ახლანდელი წულუქიძე) და სოფლებს ივანდილს, გუბს, გოჩა-ჯიხაიშს. იანეთს და შეუერთდებოდა მდინარე გუბისწყალს. ავ საქმით ნიკომ დააინტერესა მთელი სოფლის მოსახლეობა, მაგრამ კარგ წამოწყებას მოწინააღმდეგებიც გამოუჩნდნენ: ცრუ-მორწმუნე თავადაზნაურობამ გააკრცელა ხეები ვითომდა არხები მალარიას გააჩენდა, ამას გარდა ვითომდა ცხენის წყალს მავნე თვისებები ჰქონდა: ხეებს გაახმობდა, საქონელს და შინაურ ფრინველებს დაჭირიანებდა და სხვა. ესეც, რომ არ ყოფილიყო, იმ დროში, როგორც ყოველი ახალი საქმე. ეს საქმეც ძნელი მოსაგვარებელი იყო: მეტის მთავრობა არა-ვითარ დახმარებას არ იძლეოდა ასეთი საქმისათვის და მო-

სახლეობის დაეჭვიანებამ ხომ კიდევ უფრო გაართულა არხის
გაყვანა.

ნიკო არ შეუშინდა სიძნელეებს. მან გამონახა ამ საქმით
დაინტერესებული პირები, რომლებიც გვერდში იმოუღვნენ
და დიდი დაზმარება გაუწიეს მას. ასეთი პირები იყვნენ:
ოტია კახაძე და სხვები. ხონში — ცნობილი მოღვაწე ივანე
შარაშიძე, კუხში და გუბში — ნესტორ წერეთელი, სოფ.
მათხოვში კი მელაძეები.

რაკი საქმის ასეთი ერთგული პირები იშოვა ნიკომ, ამის
შემდეგ შეუდგა საქმის მოგვარებას თბილისში, წყლის სამ-
მართველოსთან. ნიკომ იქაც იშოვა თანამგრძნობები. ერთ-
ერთი ასეთი თანამგრძნობი იყო ჰიდრავლიკი ზავრიევი, რო-
მელიც ძალიან დაეხმარა ნიკოს. მიაღებინა არხის გაყვანის
ნებართვა წყლის სამშართველოდან, რამოდენიმეჯერ ჩა-
ვიდა ჭიხაიშში ნიკოსთან, შეისწავლა ადგილმდებარეობა და
შეადგინა არხის გაყვანის ზუსტი პროექტი.

დაიწყო არხის გათხრა, რას მაგისტრალურ ხაზს გზადა-
გზა ხუთი განშტოება მიეცა. არხის საერთო სიგრძემ 100 კი-
ლომეტრს გადააჭარბა. არხის დამთავრების შემდეგ დაინიშნა
მისი გახსნის საზეიმო დღე. ნიკო ნიკოლაძის თანამედროვე,
პედაგოგი სამსონ დევიძე. რომელიც ნიკო ნიკოლაძის შესახებ
დაწერილ მოგონებაში (დაცულია ნიკო ნიკოლაძის სახლ-
მუზეუმში) დაწვრილებით გვიმბობს არხის გაყვანის ისტო-
რიას, ასე აღწერს ამ საზეიმო დღეს:

„მე ვნახე თუ როგორ შეხვდნენ დიდ-ჭიხაიშში ამ
ამბავს. შარაგზის გასწვრივ, რომლის გაყოლებით არ-
ხი იყო გათხრილი, ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი და
წყალს ელოდებოდა. ისმოდა ყაყანი, ზოგი რას ამბობ-
და და ზოგი რას. როდესაც წყლის პირველი ნაკადი
გამოჩნდა, ზოგმა თითო ჩაპყო შიგ, ზოგმა ჭოხი, ზოგ-
მაც ფეხსაცმელების ცხვირი. შემდეგ უყურებდნენ
თითების, ჭოხის თუ ფეხსაცმელების გაშრობას, აბა
ვნახოთ რას მოახდენს წყალიო და სხვა. წყალმა განსა-
კუთრებული რომ არაფერი მოახდინა, უკვირდათ და
გაოცებულნი უცქეროდნენ ერთმანეთს“.

11513070



ମୁଖ୍ୟମନ୍ୟାନୀ ପ୍ରକାଶନ
ମରାଠିଆ ଲାଙ୍ଘାଣିକ

ବ୍ୟାକିଳା ବ୍ୟାକିଳା ମାତ୍ରିକ

მოსახლეობაში მაღე გაქრა არსებული ჭორები ცხენის
წყლის მავნე თვისებების შესახებ. ყველა დარწმუნდა სარწ-
ყავი არხების სარგებლობაში. შემდეგში ყველა ცდილობდა
არხის ტოტის თავის ეზოსა და საყანე აღგილებზე გაყვანას.
ნიკომ ამ არხის ტოტებზე ბეტონის ბოგირები ააგო და სა-
თანადო წარწერა გაუკეთა მას, ხოლო მთელ სარწყავ სის-
ტემას მეთვალყურები, ეგრეთ წოდებული „მერაბები“ დაუ-
ნიშნა.

პირველად ნიკომ შემოიტანა ჩვენში კარაქის სადლვები,
რძის სეპარატორი და სხვა გაუმჯობესებული მანქანა-ია-
რაღები.¹

დღესაც განთქმულია სამტრედიის რაიონის და კერძოდ
ღიღი-ჭიხაიშის ქათამი და კვერცხი. იქაური ქათამი და კვერ-
ცხი საქმაოდ მოზრდილია, ამავე დროს მეტად გემრიელი.
პევრმა, რქაუკირველია, არ იცას, რომ ამ გემრიელ კვერცხს და
ქათმის ხორცს იძლევა ლანგშანის ჭიშის ქათამი, რომელიც
ნიკოლაძემ 90-იან წლებში ჩამოიყანა, ადგილობრივ ჭი-
შებთან შეაჯვარა, ჯერ თავის მამულში გაშენა და შემდეგ
იქედან ასე გაავრცელა ფართე მოსახლეობაში. სწორედ ეს
ჭიში არის ახლა ძირითადი ბაზა პეტრინველეობის კომბინა-
ტისა. რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მოაწყო სამტრე-
დიაში. მან პირველმა შემოიტანა ჩვენში ინკუბატორი, რო-
მელიც პარიზის 1889 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენი-
დან მიიღო. ეს ინკუბატორი თითო გამოყვანაზე 100 წიწი-
ლას ჩეკავდა.

ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას იძლევდა ბუნების
ძალების (ქარი, წყალი) გამოყენებას. პირველმა მან საქართ-
ველოში გამოიყენა ქარის ძალა. 1910 წელს მოაწყო ღრმა
კა. ქაზე დადგა წყალ-ტუმბო, რომელიც მოძრაობაში მოჰყავ-
და ქარის ძალას. ამოტუმბული წალი მიღების მეზეეობით
გროვდებოდა ბეტონის წყალსაცავი, საქონლის დასალევად,

¹ სხვათა შორის პირველი ველოსიპედი ჭიხაიშში და ქვემო იმერეთში
ნიკოლაძემ შემოიტანა. აღნიშნული ველოსიპედი პირველად აოცებდა
და „აფეთქებდა“ ხალხს თავისი „უცნაურობით“.

ხოლო მეორე ჭიდან ხელის ტუმბოთი წყალი გროვდებოდა თუჭის დიდ ქვაბში, რომელიც საცხოვრებელი სახლის სხვენი ში იდგა. აյ დაგროვილი წყალი მილებით მიმდინარეობდა ყველა შენობაში და ოთახში (ბოსელში, სამზარეულოში, მარაში, საქათმესა და საპირფარეშოში), ნაჩერები წყალი კი თავს იყრიდა ერთ დიდ მილში და შემდეგ აქედან მიმდინარეობდა სახნავ-სათეს ფართობებში.

ნიკოს განზრახვა ჰქონდა აგრეთვე გამოეყენებინა წყლის ძალა, მას უნდოდა დიდ-ჭიხაიშში მიმდინარე პატარა ლელე-ები და მდინარეები (რუშვა, მაჭიყელა, ბალათურა და სხვა) მოექცია ექით კალაპოტში და მდინარე გუბისწყლის შესაჩავთან — სადგ. იანეთთან აეგო ელსადგური (პროექტი შეადგინა 6. ნიკოლაძის ვაჟმა გ. ნიკოლაძემ და ერთმა ინკი-ნერმა). ამ ელსადგურით მას უნდოდა ელექტრონით გაენა-თებინა სოფლები და იანეთიდან დიდ-ჭიხაიშამდე მოწყო-ტრამვაი. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო ნიკოს ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა.

6. ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას აძლევდა ტყეების დაც-ვას და ბუნებრივი სიმდიდრეების მოვლა-პატრონობას. 1875 წელს გაზ. „ტფილისსკი ვესტნიკ“-ის № 119-ში მოთავსე-ბულ წერილში — „ნაშე ლესნოე ხოზიასტვო“ — ნიკო აღნიშნავ-და, რომ „სამწუხაროდ ზოგიერთი ჯიში სრულიად მოსპო სა-ზღვარ-გარეთ გატანამ. მაგალითად ბზა. თუ ზომები არ მივი-ღეთ, სრულიად მოისპობა ისეთი ძვირფასი ჯიშები, როგორიც არის კაკალი, მუხა, ძელქვა და სხვაო“.

ნიკო ნიკოლაძის მიერ მოწყობილშა ამ მეურნეობამ მალე გაითქვა სახელი. იგი საკმაოდ პოპულარული გახდა და სახელი მოიხვევა. 1897 წელს, ოქტომბერში, თბილისში მოწყო სა-სოფლო-სამეურნეო გამოფენა. ამ გამოფენაზე ნიკომ გააგზავ-ნა თავის მამულში გავრცელებული ტრიფოლიატი, რომელიც პირველად მან შემოიტანა საქართველოში. ტრიფოლიატმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და უწოდეს მას „ნიკოლა-ძის ცოცხალი ღობე“ და „ნიკოლაძის ეკალი“. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია აგრეთვე მთავრობამ, ხოლო მიწის მზო-მელმა ნიკო ნიკოლაძეს ტრიფოლიატის ნერგი სთხოვა გორის

1913 წელს, პეტერბურგში, „კავკასიის შავი ზღვის ნაპი-
რების შემსწავლელმა კომისიამ („კავკაზსკაია რივერა“) გა-
მოფენა მოაწყო. ნიკოლაძემ დიდი დახმარება გაუწია გამო-
ფენას. მან გამოფენას გაუგზავნა ექსპონატები, როგორც დი-
დი-ჯიხაიშის მამულიდან, აგრეთვე ქალაქ ფოთის ქალაქის
ბალიდან. ყიურიშ ქების სიგელებით დაჯილდოვა ნ. ნიკოლა-
ძე და ფოთის ქალაქის გამგეობა. (საბუთები არქივიდან
№ 36/15).

ამჟამად ნიკოლაძისეულ მამულში დიდი-ჯიხაიშის სასოფ-
ლო-სამეურნეო ტექნიკუმი არსებობს, რომელიც შეწინავე
სასწავლებელია მთელ ჩესპუბლიკაში. ტექნიკუმი საუკეთე-
სო სპეციალისტებს ამზადებს სოფლის მეურნეობის დარგში.
თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნიკოს მეურნეობის მეოხე-
ბით ჩაეყარა მას საფუძველი. შესაძლებელია: რომ არ ყოფი-
ლიყო ეს მეურნეობა, — არც ტექნიკუმი ყოფილიყო.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის არსებობა ნიკო ნიკო-
ლაძისეულ მამულში განხორციელებაა იმ იდეისა და მიზნისა,
რომლისთვისაც იბრძოდა ნ. ნიკოლაძე.

მშრომელმა ხალხმა ნიკოს პატივისცემასთან ერთად მისი
მამულიც დღემდე უმტკიცნეულოდ შეინახა. ალბანიშნავია ის
გარემოებაც, რომ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, როცა
დიდი-ჯიხაიშის მშრომელი მოსახლეობა ადგილობრივ თა-
ვადაზნაურობას აუჭანყდა და მათი მამულები გაანადგურა.
ნიკოს მიერ მოწყობილი მეურნეობისათვის ხელი არავის
უხლია.

ზრუნვა სოფლის კათილდღეობისათვის

ჯერ კიდევ ნიკოს დროს სოფ. დიდი-ჯიხაიში საქმიანდ
მოზრდილი იყო. მიუხედავად ამისა, სოფელი არ იყო კეთილ-
მოწყობილი. მეფის მთავრობა, ცხადია, რომ არ ზრუნავდა
ამისათვის. სოფელს არ ჰქონდა საავადმყოფო, ფოსტა-ტე-
ლეგრაფი, რკინიგზის სადგური, შესაფერისი სკოლა, არ ვარ-

ა) სადგურ იანეთის დაარსება.

დიდი-ჯიხაიშის და ახლომახლო სოფლების მოსახლეობა, იმ დროს სარგებლობდა სადგურ სამტრედით და სადგურ კოპიტნარით. ორივე სადგური მოუხერხებელი იყო მგზავრობისათვის. სამტრედია 12 კილომეტრითაა დაშორებული დიდ-ჯიხაიშზე, ხოლო კოპიტნარი — 8 კილომეტრით. ორივე სადგურიამდე იმ ხანად ყოვლად უვარესი გზა იყო, განსაკუთრებით კი კოპიტნარიამდე, სადაც მდინარე გუბისწყალზე უხილობის გამო ფონით გადიოდნენ. ყველაფერი ეს ართულებდა რკინიგზით მგზავრობას და ტვირთის გადატანას.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში ნიკომ საქმე მოაწყო და 1887 წლიდან იანეთში სამგზავრო მატარებლების ორი წუთით გაჩერება დააწესებინა. მალე იანეთში ხის ბაჟანი აშენდა ნიკოს თაოსნობით, რომელსაც ხალხმა „ნიკოლაძის პლატფორმა“ შეარქვა. ამ ღვაწლის გამო პოეტმა გიორგი ჭალადიდელმა (ქოჩაკიძემ) ნიკო ნიკოლაძეს ექს-პრომტი მიუძღვნა:

„იანეთის პლატფორმისთვის
სალამს გაძლევ, ქუდსაც გიხდი,
თუ ფოთს ბუხტი აჩ შეაგვ,
გავსკუპე და შორს გავიხტი“.

მიუხედავად ამ წარმატებისა, ნიკო მაინც არ იყო კმაყოფილი მიღწეულით. მას უნდოდა იანეთის პლატფორმა რკინიგზის სადგურად ექცია უმოკლეს დროში.

1912 წელს ნიკოს რჩევით სოფ. დიდ-ჯიხაიშში, იანეთსა და ეწერში ჩატარდა მოსახლეობის ყრილობა. ყრილობამ გამოიტანა დადგენილება სადგურ იანეთის დაარსების შესახებ და აირჩია დელეგატები თბილისში გასაგზავნად (ჯიხაიშიდან — 3, იანეთიდან — 1, ეწერიდანც — 1). ნიკომ თბილისში წაიყვანა დელეგატები, თხოვნა დაუწერა სადგურ იანეთის დაარსების შესახებ და მიიყვანა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროს

¹ ამ დროს ნიკოს ფოთის ქალაქის თავად ნიშნავდნენ.

როპთან. დელეგატები დაარიგა როგორც უნდა ელაპარაკათ
როპთან, თვითონ კი ამ შეხვედრას არ დაესწრო, რადგანც ნიკო
ნიკოს წინასწარ იყო მოლაპარაკებული მასთან. როპმა თავა-
ზიანად მიიღო დელეგატები და ყოველგვარი დახმარება
აღუთქვა მათ. ამის შემდეგ საჭირო გახდა საქმის მოგვარება
კომერციული განყოფილების უფროსთან რკინიგზის სამმარ-
თველოში — ეინმე გრაფ სავოისკთან. სავოისკიმ ცივად მიი-
ღო დელეგატები და უიმედოდ გაისტუმრა ისინი უკან.

ნიკო მაინც არ მოეშვა ამ საქმეს. მან პეტერბურგში სამი-
ნისტროში საქმე მოაგვარა და 1913 წელს რკინიგზის სამმარ-
თველოს მომავალი სადგურის შესასწავლად გამოაგზავნა კო-
მერციული განყოფილების წარმომადგენელი ქავთარაძე და
საკონტროლო პალატის მოხელე გრინოვი. ნიკომ მათი წა-
მოსვლის შესახებ წინასწარ გააფრთხილა დელეგატები და
მითითებებიც მისცა, თუ როგორი ცნობები მიეცათ მათთვის.

ქავთარაძე და გრინოვი ჩამოვიდნენ დიდ-ჯიხაიშში და
სამ დღეს დარჩნენ. ამ ხნის განმავლობაში მათ დეტალურად
შეისწავლეს სადგურის მიდამოები, მოსახლეობის მატერია-
ლური შესატლებლობანი და დააზუსტეს, თუ რა საჩეკებლობის
მოტანა შეეძლო იანეთის სადგურის დაარსებას რკინიგზისათ-
ვის. ქავთარაძე და გრინოვი კარგი მოხსენებებით წარდგნენ
რკინიგზის სამმართველოს წინაშე. რამოდენიმე თვის შემდეგ
ჯიხაიშში მოვიდა ცნობა, რომ იანეთის სადგურის მშენებლო-
ბა დაიწყება 1914 წლის ივნისში და პირველი ხარჯების საჭი-
როებისათვის სოფლებმა ოთხი მანეთი უნდა შემოიტანოსო.

დიდი ვაი-ვაგლახით შეაგროვა ხალხმა ეს ფული და რკი-
ნიგზის სამმართველოს თხოვნა შეუსრულა.

მშენებლობა 1914 წლის ივნისში უნდა დაწყებულიყო,
მაგრამ არ დაიწყო. პირველმა მსოფლიო ომმა ჩაშალა ეს
საქმე. დაიკარგა ხალხის ფულიც...

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ
წლებშივე მოხერხდა სადგურ იანეთის მშენებლობის დაწყე-
ბა, რაც მოკლე დროში დასრულდა.

ახლა ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურთა რიგებში ამა-

ყად დგას სადგური იანეთიც, რომლის საძირკველიც ნიკო
ნიკოლაძის მიერაა ჩაყრილი.

ბ) სკოლის დაარსება.

1912 წლამდე დიდ-ჭიხაიშში არსებობდა ეგრეთ წოდე-
ბული „ორქლასიანი“ ტიპის დაწყებითი სასწავლებელი, ვაჟა-
ბისა და ქალებისა, რომელიც დაარსებული იყო დავით დევი-
ძის მიერ ნიკო ნიკოლაძისა და მისი მეუღლის ოლღა გურა-
მიშვილის აქტიური დახმარებით¹.

1912 წელს სოფლის მოსახლეობის ყრილობამ დადგენი-
ლება გამოიტანა ე. წ. უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის
დაარსების შესახებ. სოფლის გადაწყვეტილება და თხოვნა
წარუდგინა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექ-
ტორს, მან კი ეს საქმე კავკასიის ოლქის განათლების მზრუნ-
ველს გადასცა, რომელიც უმაღლეს პირად ითვლებოდა განათ-
ლების დარგში კავკასიაში. მზრუნველმა მთელი საქმეები
საბოლოოდ გადაწყვეტილების გამოსატანად პეტერბურგში
გაგზავნა განათლების სამინისტროში.

იმ ხანად ნიკო დიდ-ჭიხაიშიდან პეტერბურგს მიემზავ-
რებოდა. სოფლის მიერ არჩეულმა პირებმა, რომლებსაც
დავალებული პქონდათ სკოლის საქმის წარმოება, დახმარე-
ბისათვის მიმართეს ნიკოს. ნიკომ სიამოვნებით აღუთქვა დახ-
მარების გაწევა და პეტერბურგს გაემგზავრა.

გავიდა დრო... სკოლის გახსნის შესახებ არათერი არ ის-
მოდა, არც პო და არც არა. 1913 წლის 20 აპრილს სკოლის
გახსნის შესახებ დიდ-ჭიხაიშიდან წერილი გაუგზავნეს ნიკოს,
რასაც ხელს აწერდა სოფლის მოწინავე და თვალსაჩინო
პირები.

1913 წელს 29 მაისის თარიღით, სკოლის საქმეზე არჩე-
ულმა ერთ-ერთმა პირმა სამსონ დევიძემ, პეტერბურგიდან
მიიღო ნიკო ნიკოლაძის პასუხი:

¹ სხვათაშორის 1894-95 წლებში ჭიხაიშში არსებობდა მეაბრეშუმების
ქალთა სკოლაც, სადაც სპეციალისტები მეაბრეშუმებას აწავლიდნენ
მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით. ნ. ნიკოლაძემ ამ სკოლისათვის
სპეციალურად ლიონიიდან (საფრანგეთი) გამოიწერა თეთრი აბრეშუმის
თესლი.

„ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რომ ასე გვიან გწერო პასუხს. მაგრამ დღეს გადაწყდა საბოლოოდ ამ საქმის ბედა. ჩემი აქამდი მეცადინეობა, სულ მარტო იმაში მდგომარეობდა, რომ ხან ერთს კანცელარიაში მეხვეწნა, ხან კი მეორეში. მარტო გუშინ დაამტკიცეს სახელმწიფო სათათბიროში განათლების სამინისტროს სმეტა და სამინისტრომ გადაწყვიტა რომ წლევანდელ ფულებიდან ქუთაისის გუბერნიას არა ერგება რაო. მზრუნველს საქმე ისე წარმოუდგენია აქ, რომ დიდი-ჯიხაიშის სკოლა გინდ მეორე, გინდ მესამე „ოჩერედში“ ჩარიცხეთო. და რადგანაც სამინისტროს არც პირველი „ოჩერედში“ შეოლებისათვის მისცემია ფული, ჩვენ რასაკვირველია აღარ გვერგო რა.

სამინისტროში ცოტაოდენი იმედი მომცენ საგაისოდ, მაგრამ მარტო იმ პირობით თუ მზრუნველი საგანგებოთ გვთხოვს ჯიხაიშის სასარგებლოთ. თუ მან არ გვთხოვა, დიდი-ჯიხაიშის სკოლა პირველ „ოჩერედში“ ჩასწერეთო, ჩვენ პირველ ოჩერედიდან სხვა სოფლის სახელს ვერ ამოვშლით და თქვენსას ვერ ჩავწერთო. უფრო ის ჯობს, რომ თბილისში იმეცადინოთო და აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროში რომ ფულები შოგვიმატონო. ერთი სიტყვით გაისამდი საქმე არ გარიგდება. წრეულს თითქმის არა გვერგება რა.

გთხოვთ ეს ამბავი ყველა იმ წევრებს გადასცეთ. ვინც თქვენთან 20 აპრილს წერილზე ხელი მოაწერა.

თქვენი მარად ერთგული ნ. ნიკოლაძე“.

(წერილი დაცულია ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში).

უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის დაარსება დიდ-ჯიხაიშში მხოლოდ 1915 წელს მოხერხდა, რასაც სოფლის მოსახლეობამ მიაღწია თავისივე საშუალებებით და მეტის მთავრობის წინაშე დიდი ხევწნა-მუდარით.

გ) ფოსტა-ტელეგრაფის დაარსება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდ-ჯიხაიშს არ ჰქონდა ფოსტა-ტელეგრაფი. 1909 წელს სოფლის ყრილობამ დადგენილება გამოიტანა ფოსტა-ტელეგრაფის დაარსების შესახებ ზა ამ საქმის მოსაგვარებლად სამი კაცი აირჩია: ექიმი ევსევი

ლოსაბერიძე, ქაიხოსრო ლორთქიფანიძე და სამსონ დევიძე ამ პირებმა საკითხი აღძრეს თბილისის ოლქის ფოსტა-ტე-ლეგრაფის სამმართველოში. არსებული წესის მიხედვით სოფელს ფოსტა-ტელეგრაფისათვის სამი წლის ვადით უნდა მიეცა ბინა. ამავე ვადით გაეღო საფოსტო გაყვანილობის ხარჯები სამტრედია-ჭიხაიშს შორის ტარებისათვის, დაემზა-დებინა ტელეგრაფის ბოძები და პირველ საჭიროებისათვის გაეღო 500 მანეთი.

თბილისის ოლქის სამმართველომ კომისიას აღუთქვა, რომ იშუამდგომლებდა პეტერბურგში ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოში, მაგრამ ამას რა მოჰყევებოდა შედეგად გაურკვეველი იყო. ასეთი პასუხი ფაქტიურად უარს ნიშნავდა, რადგანაც პეტერბურგში საქმის მომგვარებელი არავინ იყო.

კომისია საგონებელში ჩავარდა, მაგრამ, აი, სამსონ დევიძემ მონახა გამოსავალი. მოიგონა ნიკო ნიკოლაძის მისამართი რომელიც იმ ხანად პეტერბურგში ცხოვრობდა. მან სკრიაფოდ წერილი გაუგზავნა ნიკოს და საქმის გარემოება აუხსნა, რაზედაც მოყლე ხანში ნიკო ნიკოლაძე საქმის შესახებ ასე სწერდა სამსონს:

„მომივიდა თქვენი წერილი 30 მარტს. მეორე დღესვე წავედი ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოში და ვიმეცადინე რამდენიც კი შემეძლო. იქ, თბილისიდან ჩვენი საქმე წარმოუდგენიათ ცალკე კი არა, ასი სხვა საქმეების შუა. შეუდგენიათ სია, სადაც კი საჭიროა კავკასიაში გაიხსნას ფოსტის განყოფილება. ამ სიაში ჩაურიცხიათ ჩვენი სოფელიც. რადგანაც ამ ადგილებში განყოფილების გახსნისათვის დიდალი ფულია საჭირო, ამისათვის მთელი საქმეები ერთად ჩაუკეტიათ შეაფში, იმის გაუკითხავად, თუ რომელი განყოფილების გახსნა ადვილია და რომლის შეუძლებელია ჯერ. როცა საქმე გამასინჯვინეს და გავიგე თუ რას გაუჩერებია, შევე-ხერებ გამოყავით ჩვენი საქმე „ვნე ოჩერედი“ და უბრძანეთ მისი აღსრულებათქო. ნაჩალნიკმა ბევრი იყომანა და ბოლოს მითხრა: ქალალდით მომართვი ეგ თხოვნა და ვეცდები შეგისრულოთ. ყოველ შემთხვევაში მინისტრს მოვახსენებ და



ვეტუვი ჩემის მხრივ „შეასრულოსო“. მეც ასე ვქვენი და დოკუმენტების გაუგზავნე თხოვნა იმ რიგით, როგორც თვითონ დამარიგა აწი ვნახოთ, კიდევ ვეცდები და იქნებ მოგვხედოს ღმერთშია“.

თქვენი ერთგული 6. ნიკოლაძე.

(წერილი დაცულია. 6. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში).

ეს წერილი ნათლად მეტყველებს იძახე, თუ როგორი პიოროკრატიზმი ასესობოდა მეფის დროინდელ დაწესებულებებში და რამდენი შრომა და დამცირება უწვევია ნიკოს მათ ხელში.

იმავე 1910 წლის 9 ივნისს ნიკომ ფოსტის დაარსების შესახებ მეორე წერილით შემდეგი აცნობა სამსონ დევიძეს:

„გუშინ შინაგან საქმეების მინისტრმა დამიტკიცა დაარსება დიდი-ჯიხაიშის ფოსტის განყოფილებისა (ტელეგრაფს კი შემდეგ გამართავენ.) 1 აგვისტოდან ამა წლისა. ეს ბრძანება აქედან ხვალ ან ზეგ გაეგზავნება თბილისს. იქაურ ფოსტის უფროსს. მაშასადამე ეხლავე ყოველი ღონისძიება უნდა მიაღებინოთ მამასახლისს, რომ რაც სოფელშია რამე დაპირდა მთავრობას, ყოველი უნაკლულევანათ ეხლავე შევასრულოთ, რომ სიცრუე და მატყუერება არ შეგვაჩნდეს, თორემ ჩეენს მეტი საბოლოოდ არავინ იქნება მოტყუებული. სახლიც დააწიადებინეთ და საშუალებაც ფოსტის წალებწამოლებისა սამტრედიდან ჭიხაიშს და ჭიხაიშიდან სამტრედისა. თუ პ. ქაიხოსროს ჰყავს ნაცნობი თბილისს, ფოსტის მმართველობაში, კარგს იზავდა, რომ წაეტიდეს და სთხოვოს იქ ნუ გააჩერებენ და საჩქაროდ მთაწერინოს ასრულება მინისტრის ბრძანებისა. აქამდიც გათავდებოდა ეს საქმე, მაგრამ თქვენგან (ბ. ქაიხოსროსაგან) გამოგზავნილი თხოვნა 27 მარტს დაწერილი, თხოულობდა ფოსტა-ტელეგრაფის გახსნას და ამისი კრედიტი მთავრობას არ ჰქონდა, მე კი ვთხოვე ჭერ ფოშტის განყოფილება გაეხსნათ, ტელეგრაფი მერე იყოს თქო და ამ თხოვნამ გასჭრა.

თქვენი ერთგული 6. ნიკოლაძე

(წერილი დაცულია ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში).

კომისია ამ წერილის მიღებისთანავე შეუდგა საქმის მოგვარებას და ფოსტის სამმართველოს შეუსრულა ნაკისრი ვალდებულებები. მალე ტელეგრაფის გამართვის ნებართვა მოვიდა.

1911 წლის 10 იანვარს გაიხსნა და მუშაობა დაიწყო დიდ-ჯიხაიშის ფოსტა-ტელეგრაფია. ეს იმას ნიშნავდა, რომ სოფელ დიდი-ჯიხაიში დაუკავშირდა საქართველოს ყველა კუთხეს, დიდ რუსეთს და მთელ ქვეყანას.¹

რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგიდან სამსონ დევიძის სახელზე მოვიდა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ვულოცავ დიდი-ჯიხაიშის საზოგადოებას ფოსტა-ტელეგრაფის დაარსებას. ერთი ნაბიჯით წინ ვიქნებით.

ნიკო ნიკოლაძე“.

დ) ქსენონისა და აფთიაქის დაარსება

სოფელს არ ჰქონდა აფთიაქი, არც საავადმყოფო, არც საექიმო უბანი. მუდმივად სოფელში არც ყრთი ექიმი არ მუშაობდა. ერთი სიტყვით, ვადემყოფი ალალბერზე იყო მიტოვებული. ნიკო დაინტერესდა ამ მდგომარეობით. მისი ინიციატივით ჩატარდა სოფლის ყრილობა, ყრილობამ გადაწყვიტა ქსენონის აგება და ამ საქმის მოსაწყობად გამოყო კომისია, რომელშიაც შედიოდნენ: ცნობილი პედაგოგი დავით დევიძე, ექიმი ექვთიმე ვაშაკიძე, სიმონ ლორთქიფანიძე, ანტონ ქუთათელაძე, ფერშალი მოსე გოგსაძე და სხვები. ქსენონის დაარსებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ექიმ ვაშაკიძეს, რომელიც ქსენონის გახსნამდე და შემდეგშიაც ზაფხულობით ჩადონდა დიდ-ჯიხაიშში და უფასოდ მკურნალობდა ავადმყოფებს.

კომისიამ სახლის შესაძენად სოფელში ფული შეაგროვა

¹ ალსანიშნავია ერთი გარემოებაც: ამ ფოსტის განყოფილების გამგედ თითო წლით იმუშავეს ა. სარატიანმა და ი. ჭეიშვილმა, იმის შემდეგ კი შეუცვლელად მუშაობდა იასონ ნესტორის-ძე მესხი, რომელიც 1957 წლის 3 მარტს გარდაიცვალა.



და სოფ. ეწერში მოქ. შილაკაძისაგან შეიძინა 3 ათასი მუხლების თაღ.

1902 წლის გაზაფხულზე გაიხსნა ქსენონი. ამ ქსენონის პირველი ექიმი იყო ცნობილი ექიმი ივანე გომართელი, რომელმაც თავისი სამედიცინო კარიერა აქტიური დაიწყო. შემდეგ თანამიმდევრობით მუშაობდნენ აქ საკმაოდ ცნობილი ექიმები: ვიქტორ ხუსკივაძე, ევსევი ლოსაბერიძე, ვალერიან ლორთქითანიძე, თედორე მესხი, იოველ უორდანია, ა. გახნიაშვილი, დათოჯო კახაძე, სამსონ ლევავა, ჭიჭიკო კაკაბაძე და სხვები, ხოლო ქსენონის დაარსებიდან 1902 წლის 2 მაისიდან 1955 წლამდე ექიმის თანაშემწედ განუწყვეტლივ მუშაობდა მოსე ლუკას-ძე გოგსაძე, რომელიც 1957 წლის 7 ოქტომბერს გარდაიცვალა.

ქსენონის შესანახავად ორგვარი ფასი იყო დაწესებული ამ სოფლის თავადაზნაურობა წელიწადში იხდიდა 3 მანეტს, ხოლო გლეხობა — 2 მანეტსა და 60 კაპიკს. ამ გადასახადის გადახდის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ჯიხაიშის მოსახლეობას უფასოდ მკურნალობის უფლება ჰქონდა. იგი ამ იხდიდა არც ექიმის გასამრჯელოს, არც წამლის ფულს და არც ექიმის მგზავრობის ლირებულებას.

ქსენონის გახსნასთან ერთად სოფელში აფთიაქიც გაიხსნა. მანამდე კერძო აფთიაქი ჰქონდა მოქ. ბესარიონ ჩომახეს, რომელიც ტყავს აძრობდა გლეხობას. 1908 — წლის ზაფხულში სოფელმა მოქ. ჩომახიძის კერძო აფთიაქი დიდი ბრძოლით შეიძინა და ამით მკურნალობის საქმე კიდევ უფრო გაიადვილა.

ერთი სიტყვით, სოფელ დიდი-ჯიხაიშის კეთილმოწყობისათვის დიდი მზრუნველობა გასწია ნიკო ნიკოლაძემ. ამ მიზნით მან დარაზმა სოფლის მოწინავე აქტიური ძალები, გვერდში ამოიყენა და აამოქმედა ისინი. მიზანსაც მიაღწია: 1915 წლისათვის ამ სოფელს უკვე ჰქონდა საკუთარი ერთი ოთხკლასიანი სასწავლებელი და ორი ერთკლასიანი სასწავლებელი, ფოსტა-ტელეგრაფი, სამკითხველო, ქსენონი, რკინიგზის საკუთარი ბაქანი, სარწყავი არხები, მოკირწყლული გზები და

მრავალი სხვა რამ, ჩაც თამაშად შეიძლება ითქვას, არ ვქონია მართვას და მეფის დროინდელი რუსეთის იმპერიის ბევრ სოფელს.

ყველაფერი ეს კი ნ. ნიკოლაძის თაოსნობით იყო.

ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურული და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა დიდ-ჯიხაიშვილი

6. ნიკოლაძის მამულით გლეხობა უხვად სარგებლობდა და სასწრაფოდ გადაპქნდა ამ მამულის ყოველგვარი გამოცდილება. ნიკო, რასაკვირველია, საიდუმლოდ არ ინახავდა არც ერთ აღმოჩენას, ან ახალს სოფლის მეურნეობის დარგიდან უყოყმანოდ ასწავლიდა გლეხობას. საამისოდ ნიკო სპეციალურ დროსაც დანიშნავდა ხოლმე. გლეხობას დაათვალიერებინებდა თავის მეურნეობას, ახსნა-განმარტებას მისცემდა და შემდეგ თავის ცნობილ ცაცხვის ქვეშ, რკინის მაგიდის ირგვლივ, რომელიც ზამთარ-ზაფხულ იდგა იქ, საუბარს გაუმართავდა მათთვის საჭიროოროტო საკითხებში შესახებ. ნიკო პრაქტიკულ დანმარტებას უწევდა გლეხობას, ახალგაზრდობას. შესაფერის სამუშაოზე აწყობდა, სასწავლებლებში აგზავნიდა და ცხოვრების ნათელ გზაზე აყენებდა.

მალე გამოილო ნაყოფი ნიკოს ასეთმა საქმიანობამ. ქვემო იმერეთის დასახლებამ ფერი იცვალა: გაქრა ისლით დახურული მიწური სახლები და ნელ-ნელა „მარსელის“ კრამიტით დახურული ოდები მაღალ სვეტებზე წამოიჭიმა. გაქრა ჩელტის ჭიშკრებიც და მის ნაცვლად ქვის სვეტებზე დაკიდებული რკინის ან ხის ჭიშკრები გაჩნდა. ეზოები წელის ლობის მაგივრად მარად მწვანე მცენარით, ლამაზი ტრიფოლიატით შემოიფარგლა და ნაძვებითა და ტუიებით დამშვენდა. წყობილებიდან გამოვიდა თხრილებზე და ლელეებზე გადებული ხის ან მიწის ბოგირები. ახლა მისი ადგილი უმთავრესად ბეტონით ნაშენმა ბოგირებმა დაიჭირა; ხალხში გაიღვიძა ცოდნის წყურეილმა და სწავლა-განათლებას დაეწაფა. ყოველივე ამის ფუძემდებელი და მესვეური ნიკო ნიკოლაძე იყო, რომელსაც ყოველთვის გვერდში ედგა ამ სოფლის მშრომელი გლეხობა და მთელი მოსახლეობა.

ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა დიდ-ჯიხაიშვილი, ან კიდევ

მის მიერ მოწყობილი მამული, მარტო სასოფლო-სამეცნიერო ნეო თვალსაზრისით როდი იყო შესანიშნავი. 1887 წლიდან 1895 წლამდე ნიკო მუდმივად ცხოვრობდა დიდ-ჭიხაიშვილი. აქ, ამ სახლში, იქმნებოდა და ყალიბდებოდა ნ. ნიკოლაძის შემოქმედების უკანასკნელი პერიოდი. ეს სახლი თავის დროზე წარმოადგენდა ერთვარ კერას, სადაც არა ერთი და ორი თვალსაჩინო საკითხი გადაწყვეტილა ლიტერატურული, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ხასიათისა. აქ ხშირად იყრიდნენ თავს იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები: გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სოფრომ მგალობლიშვილი, გიორგი ჭალადიდელი, ილია ხონელი, მამია გურიელი, იაკობ ფარცხავა, იონა მეუნარგია, გიორგი ზდანოვიჩი და სხვები. ნიკოს ხშირი სტუმარი იყო აგრეთვე აკაკი წერეთელი, რომელიც აღტაცებაში მოღიოდა ხოლმე მამულის სიმშვენიერით, მრავალფეროვნებითა და გამომგონებლობით.

დიდ-ჭიხაიშვილი მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა ნიკოს, რომელიც 40 ათასამდე წიგნს ითვლიდა. (ამჟამად დაცულია თბილისში. კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში). ყოველდღიურად მას აუარებელი ეურნალ-გაზეთები და კორესპონდენცია მოსირიოდა. რომლის მიღება ნიკოს სპეციალური მინდობილობით დავალებული ჰქონდა მოქ. გიორგი ნებ-საძეს, სანამდე ჭიხაიშვილის ფოსტა არ იყო და ნიკოს ფოსტა კოპიტნარიდან ან სამტრედიიდან იყო საზიდავი.

(ეს მინდობილობა ამჟამად დაცულია ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში).

ნიკო ნიკოლაძის არქივში დაცულია ამონაჭერი გაზ. „ნოვე ობოზრენიე-დან“, სადაც ნათქვამია: „სოფელში (ე. ი. დიდ-ჭიხაიშვილი) ის ლებულობს იმდენ პერიოდულ გამოცემებს, რამდენსაც არცერთი რედაქცია არ ლებულობს. მისი კაბინეტის თაროები იზნიქება ძვირფას ყდაში ჩასმული მრავალი ტომისაგან, რომელიც შეიცავს მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას. ერთი სიტყვით იქმნება სრული ილუზია კარგად მოწყობილი პეტერბურგელი მწერლის კაბინეტისა, ანდა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზისა“. აღნიშნული

გიბლიოთეკით უხვად სარგებლობდა სოფლის ინტელიგენცია, მასშივე ახალგაზრდობა და გლეხობა. ნიკო თვითონ ურა-
ჩევდა მყითხველებს შესაფერის ლიტერატურას და შემდეგ
ესაუბრებოდა ხოლმე მათ წაკითხული წიგნების შესახებ.
ამავე ბიბლიოთეკაში ნიკო ინახავდა არალეგალურ ლიტერა-
ტურას, რომელიც მას ჩამოქონდა საზღვარგარეთიდან: უენე-
ვიდან, პარიზიდან, ლონდონიდან და სხვა.

მთელი რვა წლის მანძილზე ჯიხაიშში მუდმივად ცხოვ-
რების პერიოდში (1887 წლიდან 1894 წლამდე), ნიკო ნიკო-
ლაძე დიდ-ჯიხაიშიდან უძღვებოდა გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“,
შემდეგ კი 1894 წლიდან უურნალ „მოამბეს“. ამ პერიო-
დის წერილები, მოთავსებული გაზ. „ნოვოე ობოზრენიე-ში“
და უურნალ „მოამბე-ში“ — დაწერილია დიდ-ჯიხაიშში. აქვე
უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სოფლიდან გამოგზავნილი რამდე-
ნიმე წერილი აკრძალა მეფის ცენზურამ“¹. ერთ-ერთი წერი-
ლის შესახებ უურნალისტი დ. გურამიშვილი (ნიკოს ცოლის-
ძმა) თბილისიდან დიდ-ჯიხაიშში აღშფოთებული სწერდა
ნიკო ნიკოლაძეს:

„ცენზურის მიერ აკრძალულ ორი სტატიის ანა-
ბეჭედს გიგზავნი. ერთი შენია, მეორე ჩემი. ამის მი-
ხედვით შეგიძლია იმსჯელო რა ზომამდე მიღის იაკი-
მოვის სიმკაცრე. მესმის შენი, სტატიის დაკავება,
მაგრამ ჩემ სტატიაში რა არის უცენზურო, რომ მომ-
კლა არ მესმის. ნუთუ მოიგარადებასაც ხელს ვეღარ
ვახლებთ. საერთოდ გარკვეულია, ცენზურა გვახრ-
ჩობს, განსაკუთრებით მე. თითქმის ყოველ ჩემს სტრი-
ქონს შეუბრალებლად შლის“.

დიდ-ჯიხაიშში დაწერილი ნიკოს წერილები უმთავრესად

¹ აკრძალულ წერილებს შეეუთვება: „შეოლა ვინოდელია“ უნდა
დაბეჭდილიყო „ნოვოე ობოზრენიე-ს“ 1887 წ. 1 სექტემბერს: „აგრატნოე
პოლიტიკური ბატუმსერი ობლასტი“ — უნდა დაბეჭდილიყო ამავე განხეთში
1890 წელს, როგორც მოწინავე. ეს ნომერი უმოწინავეოდ გამოვიდა:
„სელო დიდი-დეიხაიში“ და სხვა წერილები, რომელთა ზუსტი სია დაცუ-
ლია 6. ნიკოლაძის არქივში თბილისის კ. მარქსის სახელობის საჭარო
ბიბლიოთეკაში.

ეხება იმ დროისათვის აქტუალურ და მეტად საჭირობოტო საკითხებს. ეს წერილები ხასიათდება ცხოვრების ღრმა ცოდნას ნით, მოვლენებისა და ფაქტების შესანიშნავი ანალიზით და გასაოცარი სიმკვეთრით. რაგ. დიდ-ჭიხაიშვილი დაწერილი წერილში — „ნა პრაზღნიკი“, რომელიც მან 1888 წელს გამ. „ნოვერ ობოზჩენიერს“ № 1434-ში მოათავსა, ბრწყინვალე განიხილა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საკითხები და მისი განვითარების გზები დასახა. ამ წერილში ნიკო ნიკოლაძე თავის ძველ ხაზს იცავდა. ე. ი. დაასკვნიდა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო განათლება. ჩვენი სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და საერთოდ ჩვენი ცხოვრების პროგრესი შეიძლება მხოლოდ მეცნიერებისა და პრაქტიკის ერთიანობით. ცალმხრივი განათლება და განვითარება ჩვენ დაგვლუბავს და არავითარ ნაყოფს არ მოგვცემსო.

ამგვარად ხასიათდება ნიკოს ის წერილებიც, რომლებიც მეფის ცენზურამ აკრძალა ამ პერიოდში. ერთ უთარილო წერილში დ. გურამიშვილი, ნ. ნიკოლაძეს სწერდა დიდ-ჭიხაიშვილი: „სოფლიდან გამოგზავნილი შენი სტატიები ბრწყინვალეა“—ო.

არ ცდებოდა დ. გურამიშვილი. ეს წერილები მართლაც, რომ ბრწყინვალეა. ბრწყინვალედაა დაწერილი აგრეთვე ის კორესპონდენციებიც, რომლებიც სოფლის ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებს ეხება. ამის საილუსტრაციოდ აქვე მთლიანად მოვიყენთ მის ერთ-ერთ კორესპონდენციას, რომელიც დაწერილია 1887 წლის 14 ივლისს. ეს წერილი დაწერილია რუსულად, ქართულად ქვეყნდება პირველად.


სოფ. დიდი-ჭიხაიშვი, ქუთაისის მაზრა, 14 ივლისი (1887 წ.)

ამჟამად მთელი ქვემო იმერეთის მოსახლეობის გონება, და შესაძლოა მისი მომიჯნავე კუთხეებისაც, ეგზომ შეპყრობილია გვალვის საკითხით, რომ მას არ აინტერესებს არც „ბულგარეთის ახალი ამბები“, თუ კი ეს მას ოდესმე მართლაც აინტერესებდა, და არც მზადება სამხედრო ბეგარის შემოღების შესახებ. „წამოუშენს ხვალ ან ამდღეებში მანც

რიგიანი წვიმა თუ არა?“ „რა ამბავია. რომ აგერ აპრილის შუა რიცხვებიდან ჩვენში სულ არ ყოფილა წვიმა?“. აპრილის ერთად-ერთი საკითხი, რაც აქ აინტერესებს ყველას — ღიღ-სა და პატარას. რაც უნდა დიდი ჭკუის პატრონი იყო, ამ მო-სახლეობას ახლა ვერავითარი სხვა საკითხით ან სხვა რამით ვერ დააინტერესებ და მის გონიერებასა და აზრს ვერც მიუდგა-ბი და ვერც შეარჩევ.

და მართლაც „არის მიზეზი სასოწარკვეთილებისა“. ბუნები-საგან განებივრებულ ჩვენს ხალხს მიწის მორწყვისათვის ზრუნვა აინუნშიაც არ მოსდის. უცსოვარი დროიდან გვირ-წყავდა მიწას ცა. ის გვიგზავნიდა უხვად წვიმას. არც არხი და არც რუსხმული, არც რწყვა ან რაიმე ამისი მსგავსი ჯა-ხირი წყლისათვის, რასაც დიდიხანია შეჩვეულია აღმოსავ-ლეთ ამიერკავკასიის მცხოვრებნი, ჩვენ იმერლებს, გურუ-ლებს და მეგრელებს — თავის დღეში არ გვსმენია. ჩვენი წარმოდგენით მთელი რწყვის საქმე ადვილად და მარტივად ეწყობა თავისთავადვე. ამ საქმეს უფალმა ღმერთმა, წმიდა დიდი ილია წინასწარმეტყველი მიუჩინა, რომელსაც ხელთ უპყრია ღვთის მიერ ბოძებული ულეველი წყლით საესე სა-ხაპელა. როცა ჩვენს სიმინდის ნათესს, ბამბას თუ თამბაქოს მორწყვა დასკირდება, ილია წინასწარმეტყველი მოგვიშვერს თავის სახაპელას, წარმოუშენს წვიმას და მორწყვაც უზრუნ-ველყოფილია. ყველა სხვა ხალხის წარმოდგენაში ილია წი-ნასწარმეტყველი გამოხატულია როგორც ელვა-ჭექა ქუხი-ლისაგან მგრევინავ ეტლში მგდომარე. მხოლოდ ჩვენს იმე-რეთში, სადაც ჭექა-ქუხილი იშვიათი მოვლენაა, ხალხის წარ-მოსახვამ სხვა ხალხებისათვის ამ მრისხანე შეხის მტყორცე-ლის ნაცვლად შესძლო შეექმნა ყანების მრწყველი, გულკე-თილი მზრუნველის სახე. დასანანი კია, რომ „მემარცხენე სკოლის“ ნეოპეგელიანელებმა არ იცოდნენ მათი სანუკეარი ანტროპომორფული თეორიებისა და ფილოსოფიების ყვე-ლა მაგალითთა შორის გაცილებით ყველაზე უკეთ და რეა-ლურად დამადასტურებელი ეს გარემოება...

ნამდვილი უბედურება გვეწვია: აპრილის შუა რიცხვები-დან ჩვენში სრულიად არ ყოფილა წვიმა, გარდა ორი-სამი 3. ა. დევიძე



დღისა, როცა ცოტაოდენს გადმოცვარავდა ხოლმე, რაც
მტკერს თუ დატკეპნიდა თორქებ ყანას ვერ დანამავდა. ბევრი
ვიოხეთ, ვინანეთ, ვითათბირეთ, ხოლო წვიმას ვერ ველირ-
სეთ. ამავე დროს ჩვენი ყანა. ჯეგილი, ისიც სანახევროდ
დაუთესავი, უწვიმოდ ჭკნებოდა. დამცკნარი სიმინდი ისე ნე-
ლა იზრდება, რომ ნოემბრამდე ვერ იმშითებს. საცეხვი ღომი
თითქმის სულ არ დაუთესიათ. რა მოგველის? მოუსავლიანო-
ბა კარს მოგვდომია და მასთან გაჭირებაც გულშემზარავი.

ეგზომ სამძიმო ყოფაში 9 მომიჯნავე სოფელი, რომელთა
ცენტრიც დიდი ჯიხაიშია (იანეთი, ეწერი, კულაში, გუბი, ჭა-
განი, გოჩა-ჭიხაიში, ქოსნატი, პატარა ჯიხაიში და სხვა.) შეი-
კრიბა თავს დატეხილი უბედურების ნამდვილი მიზეზის გამო-
საკვლევად და ენერგიული ზომის მიღებით მისი თავიდან
ასაცილებლად.

თანახმად მამაპაპური წესისა; კრება გაიმართა სოფ. დიდი
ჯიხაიშის ქაშვეთის ეკლესიის ირგვლივ. ცათამდე აწვდილი
დიდი ხნის-ასწლოვანი ცაცხვების, მუხებისა და თელების
ჩრდილ ქვეშ. ასევე, თანახმად წინაპართა ანდერძისა ორა-
ტორებშია წარმოსთქვეს მრავალი მგზნებარე სიტყვა. ბევრ
მსმენელში ამ სიტყვებმა გამოიწვია მოწონება, ბევრშიც და-
ფარული გულისწყრომა და დრტვინვა. ვინ არ მოიყარა აქ
თავი. აქ იყვნენ თავალებიც, აზნაურებიც, ხუცებიც, კანცე-
ლარიების მწერლებიც და რა თქმა უნდა ყველაზე მეტი
რაოდენობით იყო გლეხობაც. თანამედროვეთა და შთამომა-
ვლობათა საუბედუროთ, კამათი არავის მიერ არ ყოფილა
სტენოგრაფირებული, ალბათ იმიტომ, რომ ქართული სწრაფ-
წერა ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება. მაგრამ ჩემს ხელთაა კამა-
თის ანალიზური ანგარიში, რომელსაც დროის უქონლობის
გამო, მოკლედ, დასკვნის სახით გადმოგცემთ.

კალარამორეული უკიდურესი მემარჯვენე ორატორები
მჭერმეტყველურად ამტკიცებდნენ, რომ გვალვა ზეცამ და-
გვატეხა თავს ჩვენს მიერ ჩადენილი მძიმე ცოდვებისათვის,
შეირყა მამა-პაპათა რწმენა ჩვენში, შეურაცხყვენით ძველი
დრონი. ამიტომ გასაგებია ილია წინასწარმეტყველის სამარ-
თლიანი რისხვაც ჩვენს თავზე. სახელდობრ განვარისხეთ ჩვენ

წმინდა ილია იმით, რომ ჩვენს რაიონში მრავლად არსებულ
ეკლესიათა რომელილაცა მღვდელმა აქამდე არ წარუდგინა
უფროსს უფროსს ეკლესიის დასახურავად შეგროვილი 40 მა-
თავის ანგარიში. ამისი საუკეთესო და უცილებელი საბუთია
სიზმარი, რომელიც ამ ოთხიოდ დღის წინათ უნახავს მემარ-
ჯვენეთა ერთ-ერთ ოქროპირის მოხუც შორეულ მამიდას.
ვილაც მხცოვან ხეიბარს უთქვას მისთვის სიზმარში. რომ
სანამ ეს გაფლანგვა არ შეიცვება, იმერეთი წვიმას ვერ ელირ-
სებაო. უკიდურეს მემარცხენეთა ოქროპირები, რომელნიც
პრინციპულად თუმცა ეთანხმებოდნენ იმ აზრს, რომ ზენაარ-
სმა გვალვით მძიმე ცოდვებისათვის დაგვსაჯაო, მაგრამ ამავე
დროს თავგამოდებით ამტკიცებდნენ რომ მემარჯვენეთა
ტრიბუნი სცდებიან თვით ამ ცოდვების შედგენილობათა და
ხასიათის განსაზღვრაშიო. ჯერ ერთი მღვდელმა, რომელზე-
დაც ლაპარაკია, არა თუ მიითვისა მისი ეკლესიის დასახურავი
ორმოცი მანეთი, არამედ თავისი ოფლით ნაშოვნი ფული —
2 მან. და 65 კაპიქიც კი ზედ დაადო.

ანგარიში მან მთლიანად ჩააბარა თავის უფროსსაც და
თავის საწყისაგან არჩეულ პირთაც. ამისი ცოცხალი მოწ-
მებიც აქვეა. მაშასადამე მოხუც ყრუ დედაბერს რომ მცხო-
ვანი ხეიბარი ზმანებია, აი, ამ ხეიბარს მტკნარი დიფამაცია და
ცილისწამება უკადრებია, თუ შეიძლება ბოროტმოქმედებად
ჩაეთვალოს მას ის, რაც სხვას მის მაგივრად დასიზმრებია.
ამასთანავე ყველა დედაბერს როდი უნდა ვუჭეროდეთ და
ისიც დედაბრების სიზმრებს. ეს ლიბერალური გამოსვლა
კრების აბსოლუტური უმრავლესობის ტაშის გრიალმა დაპ-
ფარა, ხოლო კი უნდა ითქვას, რომ მეტაშეთა შორის მაინც
და მაინც დიდი არ ყოფილა მოხუცთა რიცხვი.

როგორც კი გამოირკვა, რომ კრების უმრავლესობა ახალი
ლიბერალური დროის მონაბერს უთანაგრძნობს, ხოლო ლი-
ბერალიზმი კი თითქმის ქვეყნის გაჩენის უამიდან პირველად
დადგა აქ სასულიერო წოდების დაცვის პლატფორმაზე, წინ
წარმოსდგნენ ტაშის მოყვარული ორატორები.

— წარმოვიდგინოთ, — დაიწყო მესამე ორატორმა, —
წარმოვიდგინოთ თუნდაც ერთი წუთით და ისიც ფრიად პა-

ტივცემული უკიდურეს მემარჯვენეთა წარმომადგენლის
აზრის საბოლოოდ უარსაყოფად, რომ უცნობმა მღვდელმა
მართლაც მიითვისა ორმოცი მანეთი: ნუთუ ილია წინასწარ-
მეტველი ეგზომ არასამართლიანია, რომ ის ერთი კაცის ასე-
თი დანაშაულისათვის ყველას დაგვსჯის საეკლესიო ფულის
წარმოუდგენელი გაფლანგვისათვის. ეს ხომ კანონების უცო-
დინარობაა? დაპხეთ რა ხდება ბანქებში: იპარავს ოცდაათი
კაცი, ხოლო როცა ბანკი კოტრდება, სჯიან ერთს ან ორს.
აქ კი ერთმა მოიპარა და ათეული ათასები დაისაჭოს? ეს
შეუძლებელია, ეს წარმოუდგენელია, ილია წინასწარმეტვე-
ლი სამართლიანია, მემარჯვენე თრატორი კი მას ცილს სწა-
მებს. მქუჩარე ტაშმა დაცფარა ამ დემაგოგის სიტყვებიც.

მეოთხე თრატორი, აგრეთვე მემარცხენეთაგანი, მიხვდა.
რომ კამათში საქმარისი არაა მარტო მოწინააღმდეგე აზრი,
არამედ უნდა წარმოვადგინოთ კიდევ პირადი გადაწყვეტილე-
ბაც. ამიტომ მან დაიწყო მტკიცება, რომ უწვიმობის მიხეზია
ჩვენი მძიმე ცოდვები, ხოლო ეს მძიმე ცოდვები კი სახელ-
დობრ იმაში გამოიხატება, რომ დავივიწყეთ ის ფიცი, რომე-
ლიც ჩვენმა ცხრა სოფელმა დასდო ოცდაათი წლის წინად —
1857 წელს. მაშინ ჩვენ ფეხშიშველები, წავედით მდ. რიონ-
ზე და ჩავაგდეთ შიგ ყველა ის პირი, ვინც შემჩნეული იყო
კულიანობაში... ვინც ჩაიძირება, არაა კულიანი, ვინც ამოტივ-
ტივდება კულიანია და განურებული შანთით სხეულზე ამოუ-
დალავდით ჭვარს, რათა მომავალში არ ეკულიანა. ან გაიხსე-
ნეთ კიდევ ისიც, როცა ჩვენ და ჩვენმა მამებმა დავსდეთ ფიცი
სასწაულთა მოქმედ ხატების წინაშე — არ გვემუშავნა პა-
რასკეობით. დავივიწყეთ ჩვენ ეს ფიცი: ბევრი ჩვენგანი მუ-
შაობს პარასკეობით და ზოგი კი (იმათ კი არ გაიხარონ არც
სააქაოს და არც საიქიოს!) პბედავს იმუშაოს კვირაობითაც.
თუ შევასრულებთ ამ ფიცს, წამოვა წვიმა და თქეში რო-
გორც ეს წინათ იყო.

მაგრამ მემარჯვენეთა წარმომადგენელი, თუმც ემხრო-
ბოდნენ ამ აზრს, თავიანთ ნათქვამზედაც მტკიცედ იდგნენ.
და ბოლოს კრებაზე დამსტრენი მოიქანცნენ, დაიწყეს გამეო-
რებები. ბოლოს დადგა ის ფსიქოლოგიური მომენტი, რაც

კარგად ცნობილია ხმოსანთა ტაქტიკისათვის, — როცა კრება მზადაა მიიღოს რომელიც გნებავს წინადადება ოლონდ კი მართვა-ლე წავიდეს შინ... ამ დროს წამოდგა ორატორი, არ ვიცი მემარცხენებიდან, თუ მემარჯვენებიდან და წამოაყენო წინადადება.

აღვადგინოთ და მტკიცედ დავიცვათ მოცემული აღთქმა— ამიერიდან არ ვიმუშაოთ უქმე დღეებსა და პარასკეობით, და ყველა ცხრა სოფლის მცხოვრებნი, გავემართოთ, ფეხით მდ. რიონთან ყველაზე მახლობელ ეკლესიაში — სოფ. ეწე-რის წმინდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესიაში. გმოვიტა-ნოთ იქიდან ხატი და გავბანოთ ის რიონის ტალღებით. რო-გორც კი წყალი, რომელიც ხატს შეჰებია მიაღწევს ზღვას. ჩვენს გადამხმარ ყანებს დანამავს ძლიერი წვიმა.

ეს გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული მთელი მო-სახლეობის მიერ. მესამე დღეს, კვირას, 12 ივლისს, აღნიშნუ-ლი სოფლების მცხოვრებლებმა მოაწყვეს მწუხრის ლოცვა, გადაიხადეს პარაკლისი და გაემართნენ სოფელ ეწრისაკენ.. აქედან კი მდ. რიონისაკენ. სათანადო ცერემონიალის შესრუ-ლების შემდეგ ხატი ჩაუშვეს წყალში და ხვალისათვის, 15 ივლისისათვის ჩვენ ყველანი ველით წვიმას, ვინაიდან ხან-დაზმულთა გაანგარიშებით, ხატის განაბანი წყალი ზღვას მიაღწევს ფოთში 15 ივლისს, განთიადს. აღთქმა, რომ არ იმუშაონ პარასკეობით რა თქმა უნდა განახლებულია.

შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ზემოთ აღწერილი ამბები არც ჩემი ფანტაზიის ნაყოფია და არც უბრალო გასართობი ლაზლანდარობაა, არამედ სწორი ანაბეჭდია იმ უნაყოფო სჯა-ბასისა, რაც ჩვენში მართლაც ხდება ყოველგან. დამე-თანხმებით, რომ ახსნა-განმარტებანი ზედმეტია“.

6. ნიკოლაძის ეს წერილი აწყობილი იყო და უნდა და-ბეჭდილიყო გაზ. „ნოვოე ობოზრენიე-ში“, 1887 წლის ივლი-სის ნომერში, მაგრამ მეფის ცენზურამ აქრძალა იგი. ბუნებ-რივია, რომ რელიგიის ასე გაბიაბრუებას ვერ აიტანდა მეფის მთავრობა, ამიტომაც მან ეს კორესპონდენცია სასწრაფოდ დაატყვევა და დაბეჭდვა არ აღირსა.

ჩვენ არ შევუდგებით ნიკოს მიერ დიდ-ჯიხაიშვილი დაწე-
რილი სხვა წერილების განხილვას და ამ საერთო მონახაზით
დავკმაყოფილდებით. მისი განხილვა უკვე ცალკე თემაა,
ფრიად დიდი და სერიოზული თემა, რაც დამოუკიდებელი
მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ერთი პროექტის ისტორია

საკმაოდ ცნობილია, თუ რა დიდი ლვაჭლი მიუძღვის
ნ. ნიკოლაძეს რეინიგზის მშენებლობაში. ეს საქმე მან ჩინე-
ბულად იცოდა. ჯერ კიდევ 1882 — 1886 წლებში, პეტერ-
ბურგში, მას საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა ლიბავა-
რომენის რეინიგზის სამმართველოში და საუკეთესო წარმა-
ტებებსაც აღწევდა. მაგრამ ამ მხრივ მან ყველაზე დიდი
ლვაჭლი ამიერკავკასიის რეინიგზის მშენებლობას დასდო.
ნიკო ამიერკავკასიის რეინიგზის სამმართველოს წევრად
ირიცხებოდა; ერთ-ერთ საუკეთესო მუშავად ითვლებოდა.
მისი უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით დგებოდა
პროექტები და იწერებოდა გამოკვლევები. რომლებიც კი
დაკავშირებული იყო რეინიგზის მშენებლობის საკითხებთან.
ამიტომაც დაჯილდოებული იყო ნ. ნიკოლაძე ოქროს უეტო-
ნით და უფლება პქონდა უფასოდ ემოგზაურა მთელი რუსე-
თის რეინიგზის ხაზზე.

ხონის, მათხოვის, ჯიხაიშისა და სხვა ახლომახლო სოფ-
ლების მოსახლეობას, რომლებიც მოწყვეტილი იყვნენ
რეინიგზის მთავარ ხაზს, აღრევე სურდა რეინიგზის შტოს
გაყვანა სდგურ სამტრედიიდან მათხოვამდე. ამ შტოს
გაყვანით ორი საქმე კეთდებოდა: გარდა იმისა, რომ მოსახ-
ლეობა ისარგებლებდა რეინიგზით, მოწყობოდა სვანეთის
ზე-ტყის გამოზიდვა, რაც მდინარე ცხენისწყლით ჩამოჰ-
ქონდათ სოფელ მათხოვამდე. ამის შესახებ მრავალი გამოკვ-
ლევა არსებობს. მათ შორის აღსანიშნავია გ. წერეთლის,
ი. სერებრიაკოვის, რაციგისა და ვ. შიმანსკის გამოკვლევები.
მომწიფედა თუ არა საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხის
შესახებ, ნიკომ ინიციატივა აილო დასაჩქარებლად. მაგრამ
მან შეცვალა პროექტი: რეინიგზის შტო ახლა გაყვანილი



უნდა ყოფილიყო არა სამტრედიდან მათხოვამდე, არამედ
იანეთიდან მათხოვამდე. მისი სიგრძე უნდა ყოფილიყო 20
ვერსი. რკინიგზის ამ ტოტით ისარგებლებდა ორ მდინარეს
შორის — გუბისწყალსა და ცხენის წყალს შორის დასახ-
ლებული სოფლები, რომელთა ტერიტორია 386 კვ. ვერსი,
ხოლო მცხოვრებთა რაოდენობა 75 ათას კაცს უდრიდა. ამ
პროექტს სხვებმაც დაუჭირეს მხარი, რადგანაც მას ერთვა-
რი უპირატესობა ჰქონდა პირველ პროექტთან: რკინიგზის
მოკლე მანძილი, უკეთესი რელიეფი და ეკონომიური პირო-
ბები ბევრად აიაფებდა როგორც რკინიგზის გაყვანის, აგრეთ-
ვე სამგზავრო ბილეთის ღირებულებას. ყველაფერი ეს ნიკოს
ზუსტად ჰქონდა შესწავლილი და ათასჯერ აწონილ-დაწო-
ნილი.

1884 წელს რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით ნიკოშ
ადგილზე სპეციალური კომისია მიავლინა, რომელსაც ხელ-
მძღვანელობდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე
გ წერეთელი.

როგორც ყოველ ახალ საქმეს, ამ საქმესაც დაბრკოლება
აღუდგა წინ. მოსახლეობა, რომელიც პირველად სიხარულით
შევდა რკინიგზის გაყვანას, ახლა უარს ამბობდა. თავადე-
ბმა და სოფლის ბნელმა ძალებმა გული აუცირუეს გლეხობას
და არწმუნებლნენ, რომ, ვითომდაც, რკინიგზის გაყვანა ზიანს
მიაუნებდა მათ: გაუწყვეტდა საქონელს, წარატმევდა მიწის
ნაკვეთებს და რაც მთავარია გამოიწვევდა ადამიანის
მსხვერპლს და სხვ. ამის გამო იყო, რომ გ. წერეთელი 1884
წლის 1 თებერვალს გულისტკივილით სწერდა ნიკო ნიკო-
ლაძეს:

„ხონის რკინიგზის საქმეზე დიდი დაბრკოლება ატყდა,
ყველა სოფლის საზოგადოებამ უარი თქვა მიწის სამუშაო-
ებზე. ჩვენ რომ ადვილი გვეგონა ხალხის შეგონება, ისე
ადვილი არ გამოდგა. ამისათვის მე იანეთიდან დაწყებული
მათხოვამდის გაბმული ვარ ამ საქმის გულისათვის“¹.

¹ იხ. ნ. ნიკოლაძის არქივი, დაცული თბილისის კ. მარქსის სახელობის
საჯარო ბიბლიოთეკაში, № 13/325.



არც გ. წერეთელმა და არც კომისიამ ფარხმალი არ დაყარა. მათ გვერდით უდგათ ნ. ნიკოლაძეც. დიდი მეცა-დინეობის შემდეგ მოსახლეობამ გული მოიბრუნა და მხარი დაუჭირა რკინიგზის მშენებლობას.

1884 წლის 26 მარტს ხონში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერ-ნიის გენერალ გუბერნატორი სმეკალოვი, რომელსაც ხო-ნის საზოგადოების წარმომადგენლებმა ახლა დახმარება სთხოვეს რკინიგზის მშენებლობაში, თავადი გიორგი სამსო-ნიძე წულუკიძე კი რკინიგზის სადგურისათვის უფასოდ იძლეოდა 3,600 საუკენ მიწას. სმეკალოვმა ყოველგვარი დახ-მარება აღუთქვა ამ საქმეში ხონის საზოგადოებას და სურვი-ლი გამოთქვა: „ღმერთმაც ქნას, რომ შემდეგში მე ხონში მატარებლით ჩამოვისულიყო“¹.

გენერალ გუბერნატორის ასეთმა დაპირებამ კიდევ უფ-რო გაამხნევა მოსახლეობა და ყველაფერი ეჭვი გაუფანტა. გ. წერეთელი ახლა გახარებული ატყობინებდა ნიკო ნიკო-ლაძეს ამავე წლის 31 მაისს გაზავნილი წერილით:

„საყვარელო მათ ნიკო!

ხონის ტოტის საქმე რომ არ მეგონა ისე კარგად მიდის. დამრჩა მარტო ჭიხაიში და იანეთი, თორემ სხვა სულ გათა-ვებულია“-ო (იქვე).

რაյო რკინიგზის გაყვანამ რეალური სახე მიიღო, ახლა სამეგრელოს რაიონების სოფლებმაც მოიწადინეს მშენებ-ლობაში მონაწილეობის მიღება. მდინარე ცხენისწყალზე, სოფელ მათხოვთან უნდა გაკეთებულიყო ხიდი, რომელიც რკინიგზასთან დააკავშირებდა სამეგრელოს სოფლებს ბანდას, ნაოლალევს, ლეხაინდრაოს, სალხინოს, ნაფიჩხოულას² და სამეგრელოს ჩრდილოეთის მხარის სხვა სოფლებს. აღნიშ-ნული სოფლების მოსახლეობამ იყიდა 22 ათასი კაცდღის მუშაობა, ან კიდევ 22 ათასი მანეთის გადახდა. ხიდის აგება ჯდებოდა 20 ათასი მანეთი, ასე რომ კიდევ რჩებოდა ორი ათასი მანეთი, რომელიც მოხმარდებოდა რკინიგზის მშენებლობას.

¹ იხ. გაზ. „Кавказ“ — 1884 წ. 13 მარტი, №-58.

² ეს სოფლები ამჟამად შედის გაგეჭორის რაიონში.

გავიდა დრო... რკინიგზის ტოტის ამ მშენებლობას ბევრი დაბრკოლება შეხვდა წინ, მუშაობის დაწყება გაჭიანურდა, შემდეგ პირველი მსოფლიო ომი წამოეწია და სრულიად შეჩერდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 20-იან წლებში, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში ისევ წამოიჭრა „სამტრედია-მათხოვის“ რკინიგზის მშენებლობის საკითხი. საბჭოთა მთავრობამ დადებითად გადაწყვიტა იგი და პირველ ხუთწლიან გეგმაში პირობითად შეიტანა. დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა; დაგეგმეს სამუშაოები და სადგურები, შეისწავლეს ლიანდაგის დასაგები ხაზი სამტრედიდან მათხოვამდე, გზაზე დარგეს სათანადო ნიშნები და ცველაფერი გაამზადეს მუშაობის დასაწყებად.

ალსანიშნავია ის გარემოება, რომ ნ. ნიკოლაძე, მართალია, მიესალმებოდა რკინიგზის გაყვანას მათხოვამდე, მაგრამ ის თავის ძელ პროექტს იცავდა და ამტკიცებდა მის უპირატესობას. ¹

დროთა განმავლობაში არც ეს პროექტი განხორციელდა, მათხოვამდე რკინიგზა გაყენილი არ იქნა. მიუხედავად ამისა, ნ. ნიკოლაძის პროექტი საბჭოთა ხელისუფლებამ მაინც განახორციელა, მაგრამ სულ სხვა ფორმით:

ამჟამად მიმდინარეობს მათხოვის მიმართულებით არსებული გზის კეთილმოწყობა, რაზედაც ყოველწუთში დასრიალებს ავტობუსები და ავტომანქანები, ხოლო მდინარეზე შენდება ხიდი. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის ეკონომიკურ განვითარებას და წინსვლას, რაც პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა.

¹ იხ. ვარლამ ძიძიგური, „მასწავლებლის მოგონებანი“, 1957 წ., გვ. 222 — 223.

აკაკი წერეთელი დიდ-ჯიხაიშვილი ნიკო ნიკოლაძესთან



ნიკო ნიკოლაძისა და აკაკი წერეთლის ახლო ურთიერთობა საყოველთაოდ ცნობილია. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით განმტკიცდა 1908 წლიდან, აკაკის იუბილეს შემდეგ.

ნ. ნიკოლაძის ქალიშვილი, პროფესორი რუსულან ნიკოლაძე იგონებს, რომ იმ წლებში აკაკი ძალიან ხშირი სტუმარი იყო ჩვენი ოჯახისა დიდ-ჯიხაიშვილი.

აკაკი ნიკოსთან დიდ-ჯიხაიშვილი პირველად სტუმრად იყო 1889 წლის ზაფხულში, აგვისტოს თვეში. აკაკი დაესწრო ნიკოს ვაკის — გიორგის ნათლობას. გიორგის ნათლობა დიდი ზეიმით გადაიხადა ნიკომ და წვეულება გამართა, რაც სამ დღეს გაგრძელდა. წვეულებას დაესწრო ნიკოს ახლო მეგობრები, საზოგადო მოღვაწეები, ნათესავები და თანამოაზროვნები. ყველაზე საპატიო სტუმარი მათ შორის, რასაკვაირველია, აკაკი წერეთელი იყო გიორგის ნათლია კირილე ლორთქითანიძესთან ერთად. აკაკიმ ძალიან მოილხინა, თავისი ჩვეულებისამებრ ოხუნჯობდა, ამბობდა სიტყვებს და აღტაცებაში მოყავდა მთელი საზოგადოება. ამის შემდეგ აკაკი ხშირად ჩადიოდა ჯიხაიშვილი. ხან გავლით, მიღიოდა, ხან თვითონ ნიკოს ჩამოყავდა, ხანდახან კი 3-4 დღეს დარჩებოდა და შემდეგ გაემგზავრებოდა ხოლმე ფოთში, ქუთაისა ან ხონში.

პროფესორ რუსულან ნიკოლაძის გადმოცემით აკაკი პირველად წინააღმდეგი იყო იმისი, რომ ნიკოს დიდ-ჯიხაიშვილი გაეშენებინა ამოდენა მამული.

— რას ჩაციებიხარ მაგ დედულეთს, ხაშვიან ჯიხაიშს. იქ ჰაერი არ ვარგა, წამოდი ზემო იმერეთში, იქ გაშენე მეურნეობაო. — ეტყოდა ხოლმე აკაკი ნიკოს. ნიკო კი აკაკის უმტკიცებდა, რომ იქ ჰაერიც კარგია და ნიადაგიც კიდევ უკეთესია. აბა, ვნახოთ როგორი მამული გავაშენოო.

მართლაც, როცა ნიკომ თავისი არ მოიშალა და მეურნეობა კარგად მოაწყო, აკაკის სრულიად შეეცვალა თავისი აზრები. აკაკი როცა სტუმრად იყო ნიკოსთან დიდ-ჯიხაიშვილი, ინტერესით ეცნობოდა ხოლმე მეურნეობას, გულდასმით



ნიკოლაძე და აკაკი წერეთელი დილ-ჭიხაიშვილი



აკეირდებოდა თითოეულ მცენარეს და სწავლობდა მას. ნიკო დეტალურად აცნობდა აკაკის ყველაფერს.

აღტაცებაში მოყავდა აკაკი სხვადასხვა ცხოველებს, რომლებიც ნიკოს საზღვარგარეთიდან ჰყავდა ჩამოყანილი და გაწვრთნილი. ამ ცხოველებს აკაკი ნიკოს ბავშვებთან ერთად ეთამაშებოდა, მათ ართობდა და ოვითონაც ერთობოდა — „ჩემი ბავშვობა მაგონდებაო“ — იტყოდა ხოლმე პოეტი. განსაკუთრებით მოსწონდა აკაკის სენბერანდტის ჭიშის ძალლები, რომლებიც მეტად გონიერები იყვნენ და აღამიანებივით მოქმედებდნენ.

ერთხელ ნიკოს შინამოსამსახურებ — დუნიამ¹ საკუთარი ლექსი წაუკითხა აკაკის.

— როგორ მოგეწონა, აკაკი. — ჰქითხა ნიკომ.

— ძალიანაც მომეწონა, შენთან ცხოველებიც კი ფილოსოფოსები არიან და რა გასაკვირველია, რომ დუნიამ ლექსები წეროსო. — მიუგო აკაკიმ.

ისე მოსწონდა აკაკის ეს ცხოველები, რომ 1909 წელს მან ესპანურ თეთრ ვირთან სურათიც კი გადაიღო.


(დაცულია ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში).

იმდენად ერთობოდა აკაკი ნიკოს ოჯახში, რომ მას თითქმის დრო აღარ რჩებოდა სოფელში გაევლო. ყოველ ჩამოსვლაზე ნიკოს ოჯახში იგი ისეთ რაღაც ახალს ნახავდა, რაც გაიტაცებდა პოეტს და მთელ დღეს იქ გაატარებინებდა ხოლმე.

მიუხედავად ამისა ნიკოს ოჯახის წევრებმა რამოდენიმეჭერ ექვსკურსია მოაწყეს, აკაკიც თან წაიყვანეს და გააცნეს სოფლის მნიშვნელოვანი ადგილები: აჩვენეს „სერგეთის მინდორი“, „ქამევეთის მინდორი“, ეკლესიები და ცაცხვებისა და მუხების ასწლოვანი ხეები. პოეტზე ნახულმა ფრიად სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა.

1910 წლის ზაფხულში, სწორედ იმ დროს, როცა ნიკოსთან

¹ დუნია (ევდოქია ათანასის ასული აფანასიევა), ნიკო ნიკოლაძის შინა-მოსამსახურე იყო, რომელიც ბოლომდე შერჩა მწერლის ოჯახს. გარდაიცვალა თბილისში 1952 წელს, 80 წლის ასაკში. წერდა ლექსებს.



აკად. წერეთელი მღინის ექიმის წერტილის ბირჩევე

აკაკი იყო სტუმრად, ნიკოს ამბავი მიუტანეს, რომ სოფ. განახლების მათხოვთან ცხენისწყლის არხის სათავე გაფუჭებულია. ნიკოსი კომ სასწრაფოდ შეაბმევინა ცხენი ეტლში და მათხოვისაკენ გასწია. თან წილი იყო აკაკიც.

ნიკომ ადგილზევე სასწრაფო ზომები მიიღო და არხის სათავე გააკეთებინა. მთელი დღე დაპყვეს არხის სათავესთან.

აკაკიც იქ იყო...

ნიკომ სურათი გადაუღო აკაკის, რომელიც ცხენისწყლის ბორანზე იდგა გლეხებთან ერთად.

იმავე ხანებში ნიკოს ოჯახში, ჯიხაიშში, საუბარი იმართებოდა ეკლესიების შესახებ. მორწმუნეთა ერთი ჯგუფი წუწუნებდა იმსა გამო, რომ ეკლესიები ცუდ მდგომარეობაშია, ზოგიერთი მათგანი დანგრევის პირზეა მისული და კაცი პატ-რონი არავინ არისო. ერთ-ერთ ასეთი საუბარს დაესწრო აკაკიც, აკაკიმ პირდაპირ განუცხადა:

— რათ გინდათ ეს ეკლესიები, ვერ გაიგეთ, რომ ღმერთი არ არის?

— არც მასეა საქმე ბატონო აკაკი... ცნობილმა მეცნიერმა ვოლტერმა ხომ თქვა, რომ ღმერთი, რომ არ ყოფილიყო, უნდა მოგვეგონებინაო, — თქვა ერთმა მდაბიოთაგანმა.

— რაო? რა იცი შენ ვოლტერი. გაოცებით იკითხა აკაკიმ.

— წამიკითხავს ბატონო. — თამამად მიუგო მან.

აკაკის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. სადღაც სოფელში უბრალო, მდაბიო ადამიანები კითხულობენ ვოლტერს! იმ ღროში ეს მართლაც ხომ საკვირველი იყო...

— მე ვიცოდი, რომ ამ სოფლის მოსახლეობა სწავლაგანათლებას ძალიან ეტანებოდა, მაგრამ თუ ასე ეტანებოდა, ეს კი არ ვიცოდი. ეს შენი წყალობითაა ჩემო ნიკო — უთხრა აკაკიმ ნიკოს, რომელიც ჩემ-ჩემად ილიმებოდა ამ ღროს

აკაკი დიდ შეებას გრძნობდა ნიკოსთან ყოფნით დიდ-ჯიხაიშში. ზაფხულის მთვარიანი ღამე დიდად მოსწონდა აკაკის: ავიდოდა მეორე სართულზე, დაჭდებოდა აიგანზე და დიდხანს, ძალიან დიდხანს უყურებდა მთვარეს.

— გიხაიშისთანა ლამაზი მთვარე არსად არ არის — შენიშვნავდა ნიკო.

— საჩხერის მთვარესთან მაინც ვერ მივა — ხუმრობით ეტყოდა აკაკი.

ასე იყო თუ ისე, ეს ორი დიდი აღამიანი, დიდხანს, ძალიან დიდხანს მდუმარებით მოცულნი შესცემოდნენ „გიხაიშის მთვარეს“, რომელიც, მართლაც, ასე ლამაზია ნიკოს სახლის აივნიდან.

ძალიან უყვარდა აკაკის ნიკოს მოურავი სიმონ ვაშაკიძე,

სიმონ ვაშაკიძე ფრიად საინტერესო პიროვნება იყო. იგი ნიკოს მოურავად მუშაობდა 1886 წლიდან სიკვდილამდე (1917 წ.) მთელი თავისი ოჯახით ცხოვრობდა ნიკო ნიკოლაძის მამულში და მისი ძმა — გოგიაც იქ მუშაობდა.

სიმონმა ზედმიწევნით კარგად იცოდა სოფლის მეურნეობა და ნიკოს შესანიშნავად შველოდა ამ მეურნეობის მოწყობაში. იყო ერთგული, პატიოსანი, შრომის მოყვარე, ენერგიული და სანდო კაცი. ერთი სიტყვით ქართველი მშრომელი გლეხის ტიპიური განსახიერება იყო.

სიმონი დიდი სიყვარულით უვლიდა ნიკოს კარ-მიდამოს. ამუშავებდა მიწას, უვლიდა ვენახს, ხეხილს და სხვა. ერთი სიტყვით, იგი განაგებდა მთელ მეურნეობას.

მიუხედავად იმისა, რომ მან წერა-კითხვა არ იცოდა, მაინც გათვითცნობიერებულ კაცად ითვლებოდა და ბევრს ხიბლავდა თავისი მჭევრმეტყველუბით და მოხდენილი სიტყვა-პასუხით. იცვამდა ევროპულად, ატარებდა შლიაპას და გარეგნულად ძლევირ ემსგავსებოდა ნიკო ნიკოლაძეს. ამიტომაც იყო, რომ მას ზედმეტ სახელად „სიმონ ნიკოლაძე“ შეარქვეს. იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ნიკოს ოჯახში და ამ ოჯახის საპატიო წევრად ითვლებოდა.

სიმონი ბოლომდე ერთგული დარჩა ნიკოს ოჯახისა. (რა დიდი კონტრასტია ილია ჭავჭავაძის მოურავსა და ნიკოს მოურავს შორის!).

ტრაგიკული იყო სიმონის ცხოვრების ბოლო. 1917 წელს იგი სხვენიდან ჩამოვარდა (თივას უყრიდა ცხენებს) ლურს-

მანს თავი დაპქრა და იმავე წლის 27 თებერვალს გარდაი-
ცვალა.

აკაკი და სიმონი მეტად შეხმატებილებულნი იყვნენ ერთ-
მანეთთან. აკაკიც სიმონს ხუმრობით „სიმონ ნიკოლაძეს“
ეძახდა, მაგრამ სიმონს როდი სწყინდა ეს...

დიდი-ჯიხაიში ნიკო ნიკოლაძისათვის ერთგვარი ლაბო-
რატორია იყო, სადაც იგი ცდიდა არა მარტო თავის პრაქტი-
კული მოღვაწეობის საკითხებს, არამედ თეორიულ საკითხებ-
საც. უფრო მეტიც: დიდ-ჯიხაიშში ნიკოსათვის, მისივე თქმით,
იყო სკოლა, სადაც იგი სწავლობდა და სხვებსაც ასწავლიდა.
მისი მოღვაწეობა დიდ-ჯიხაიშში არ იყო ვიწრო მასშტაბის
მოღვაწეობა, კარჩაკეტილი და ნაჭუჭუში მოქმედული. ეს იყო
დიდი აღამიანის მუშაობა და მოქმედება დიდი მასშტაბით.
ფართო პორიზონტით. იგი ჰავდა ნაკადულის მოქმედებას,
რომელიც მაღალი მთიდან ქვევით, ბარში მორიაკრაკებს, გა-
დამწვარ ბუნებას აცოცხლებს და აღვიძებს, ძალასა და ენერ-
გიას ჰმატებს მას. იგი ამ სოფლიდან მომავალ თაობას პირადი
მაგალითით უჩვენებდა შრომისაღმი სიყვარულს, თავდადება-
სა და ყოველდღიურ ზრუნვას თავის სამშობლოს საკეთილ-
დღეოდ. დიდ-ჯიხაიშიდან, ნიკო ნიკოლაძე გაშლილი და
სალი თვალით ხედავდა მთელ ქვეყანას, თავის სამშობლოს,
ევროპასა და დიდ რუსეთს. იგი ჭირსა და ლხინში აქედანაც
კი გვერდით ედგა თავის ხალხს, მოძმე დიდ რუს ხალხს, რო-
მელთანაც გაუწყვეტილი ძაფებით მუდმივად იყო დაკავში-
რებული.

1947 — 1953 წ.წ. ჯიხაიში — თბილისი.

ს ა რ ჩ ი ბ ი

1. ავტორისაგან	3
2. მეცნიერის მოწყობა, მამულის გაშენება	5
3. ბრძოლა სოფლის მეცნიერის განვითარებისათვის	11
4. ზრუნვა სოფლის კეთილდღეობისათვის	17
5. ნიკოლაძის ლიტერატურული და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა დიდ-ჭიხაიშვილი	26
6. ერთი პროექტის ისტორია	35
7. აკაკი წერეთელი დიდ-ჭიხაიშვილი ნიკოლაძესთან	37

რედაქტორი ი. ახვლედიანი
მხატვარი ჭ. ყავილაშვილი
ფოტორეპროდუქციები შ. ცურცხვანიძის.

უფასოდ

შეკ. 591. ფე 03641 ტირაჟი. 2000

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფიამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიქიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

25

150/881



Акакий Ноевич Девидзе
НИКО НИКОЛАДЗЕ В ДИДИ-ДЖИХАИШИ
(на грузинском языке)
Министерство культуры Грузинской ССР

Диди-Джихаишский дом-музей

Нико Николадзе

Тбилиси — 1958

K313.070
3

046105370
046105370